

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა №1

ქ. თბილისი

2017 წლის 31 მარტი

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:** 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. აბესაძე ნინო 4. ბარბაქაძე ხათუნა 5. გაგელიძე ტარიელი 6. შვანგირაძე მათე 7. თუთბერიძე ბეჟანი 8. მაჭავარიანი ლია 9. გეგეჭკორი არნოლდი 10. ხაჩიძე მანანა 11. თევზაძე ალექსანდრე 12. შოთა სამსონია 13. ბახტურიძე შაატა 14. თუმანიშვილი გიორგი 15. თოდუა ნონა 16. გარიშვილი მარინა 17. ონიანი თამარი 18. ოქიტაშვილი გიორგი 19. მარგველაშვილი ვლადიმერი 20. ქიტუაშვილი თინა 21. ჩხაიძე ზურაბი 22. ჩხაიძე თამარი 23. წერეთელი მარი 24. შამილიშვილი მანანა 25. ტუკვაძე ავთანდილი 26. ლორთქიფანიძე ლევანი 27. შვეარდნაძე თორნიკე 28. უვანია ირინე 29. დადეშქელიანი ბექა 30. თოფურია სალომე 31. ლორია კახაბერი 32. გორდემიანი ლევანი 33. გელოვანი ნანი 34. თაბუაშვილი აპოლონი 35. ბრაჭული ირაკლი 36. ოთხმეზური გიორგი 37. პაიჭაძე თამარი 38. შარაბიძე თამარი 39. კეჟერაშვილი შოთა 40. ჯავახაძე გიორგი 41. გაიპარაშვილი ზურაბი 42. ლარიბაშვილი ირაკლი 43. სუმბაძე ციური 44. ბაშალეიშვილი ლევანი 45. რუსიაშვილი გიორგი 46. იოსელიანი ხათუნა 47. ახალბედაშვილი ლილი 48. ალანია ვიქტორი 49. რევიშვილი ზურაბი 50. ხეცურიანი ნათელა 51. ხუციშვილი მარინე 52. ნემსაძე ადა 53. რუხაია მიხეილი 54. ჯობაგა თამარი

**სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები:** 1. გიორგი შარვაშიძე 2. ამირან ბერძენიშვილი 3. გიორგი ღვედაშვილი 4. მარინე მინდორაშვილი 5. ავთანდილ სილაგაძე 6. შაატა იმნაძე 7. აპოლონ სილაგაძე 8. აკაკი ყულიჯანაშვილი 9. ვასილ გონაშვილი 10. დავით კერესელიძე 11. ალექსანდრე კუხიანიძე 12. მარინე ზაუტაშვილი 13. ნათელა ანანიაშვილი 14. ავთანდილ ამირანაშვილი 15. ერეკლე გამყრელიძე 16. მურმან კვინიკაძე 17. ნოდარ ცინცაძე 18. გოჩა ფერაძე 19. მამუკა ხუსკივაძე 20. რევაზ შანიძე 21. ნიკოლოზ ავაზაშვილი

**დღის წესრიგი:**

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშის დამტკიცება

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ანგარიშის მოსმენა

3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის №109/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №4/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 იანვრის №10/2017 დადგენილების დამტკიცება

4. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2017 წლის 6 მარტის №24/2017 დადგენილების დამტკიცება

5. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილების ამოქმედების პირობების განსაზღვრის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის №29/2017 დადგენილების დამტკიცება

6. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში

ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის №30/2017 დადგენილების დამტკიცება

7. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №15/2017 დადგენილების დამტკიცება

8. სხვადასხვა

### დღის წესრიგი ერთხმად დამტკიცდა.

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნუნუ ოვსიანიკოვამ წარმოადგინა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში. მისი განცხადებით, ანგარიშში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია 2016 წლის სექტემბრის შემდეგ პერიოდზე, ვინაიდან იგი სექტემბრიდან იკავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობას. ამ პერიოდში გაანალიზდა უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობა, განისაზღვრა სასტარტო მონაცემები, დაისახა შესაბამისი მიზნები და შემუშავდა მიზნის მიღწევის ადეკვატური გზები. ამჟამად მიმდინარეობს უნივერსიტეტის მართვის სისტემის მოდერნიზაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონკურსში მოპოვებული გრანტის შესაბამისად. დაზუსტდა სამუშაოს აღწერილობები, თანამშრომელთა ფუნქციები, სამომავლოდ მოქნილი საბიუჯეტო პროცესის მისაღწევად, აუცილებელია, დაიხვეწოს ბიუჯეტის ფორმირების სპეციფიკა ისე, რომ მაქსიმალურად ღიად და გამჭვირვალედ, დაინტერესებულ პირთა მაქსიმალური ჩართულობით მიმდინარეობდეს უნივერსიტეტის ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ბოლო სამ წელიწადში უნივერსიტეტის სახელფასო ფონდი 6 მილიონითაა გაზრდილი, რაც ძალიან დიდი მაჩვენებელია, ამიტომაც აუცილებელია ხარჯების შემცირება, რათა დაცული იქნეს ბალანსი შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდება, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ არსებული ფინანსური რესურსი ვერ უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო მზარდი მოთხოვნის

დაკმაყოფილებას. ამ მიზნით, აუცილებელია დამატებითი რესურსების მოძიება, სწავლის საფასურის გადახდის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფა. უნივერსიტეტმა მაქსიმალური შეღავათი გაუწია სტუდენტებს, რათა მათ მათთვის სასურველი გრაფიკით გადაეხადათ სწავლის საფასური, თუმცა ამ დროისთვის სტუდენტების დავალიანება 4 მილიონ ლარს შეადგენს, რომლის დროულად გადახდის შემთხვევაში, ზაფხულში დაგეგმილი აქტივობები უპრობლემოდ განხორციელდება.

აუცილებელია უცხოელი სტუდენტების მოძიება და დაინტერესება, ასევე, ინვესტორების მოზიდვა, ალუმნების ჩართვა უნივერსიტეტის განვითარების პროცესში. ამ მიზნით იქმნება უნივერსიტეტის განვითარების ფონდი.

2016 წლის სექტემბერში დაიწყო ინვენტარიზაციის პროცესი, რომლის შედეგებმაც აჩვენა არა მხოლოდ არსებული ქონების ზუსტი მოცულობა, არამედ დაადგინა გასაწვევი ხარჯები და რამდენად გამოიყენება საუნივერსიტეტო რესურსები. დღეის მონაცემებით, 56 მილიონი ლარია საჭირო რემონტისა და განახლებისათვის, აქედან გადაუდებელი ხარჯი 10 მილიონ ლარს შეადგენს. 2017 წელს დაგეგმილია მე-2 და მალლივი კორპუსების ფანჯრების გამოცვლა, გათბობის სისტემებისა და ლიფტების გამართვა.

უნივერსიტეტში დაინერგა საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა, სასწავლო პროცესის მართვის სისტემა შეიცვალა ახალი მოდელით, დამზადდა და მომავალშიც დამზადდება უნივერსიტეტის სტუდენტთა ბარათები. ამასთან, მალლივ კორპუსში გაიხსნა კვების ობიექტი, რომელიც გამართულად ფუნქციონირებს და გაზაფხულის მიწურულს გაიხსნება პირველ კორპუსთანაც. სტუდენტულაქში ფუნქციონირება დაიწყო რესურსცენტრმა, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს იქ მაცხოვრებელ სტუდენტებს. ასევე, სახელმწიფომ უნივერსიტეტს გადასცა 320 ადამიანზე გათვლილი საერთო საცხოვრებელი ლისის ტბაზე, რომლის შიდა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად აუცილებელია 0,5 მილიონი ლარი, რათა შემდეგი სასწავლო წლისთვის უკვე ფუნქციონირებდეს.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებებით, შესაძლებელი გახდება წლების განმავლობაში დაგროვებული გამოუსადეგარი ქონების ჩამონერა, რომელიც აქამდე უნივერსიტეტის ბალანსზეა. ამასთან, მიმდინარეობს მზადება ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისთვის და უნივერსიტეტის საუკუნოვანი იუბილისათვის.

საკუთხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: გიორგი ოთხმეზური, ლევან გორდემიანი, არნოლდ გეგეჭკორი, ნონა თოდუა, ლევან ლორთქიფანიძე, პაატა ბახტურიძე, თამარ ონიანი და ნათელა ხეცურიანი.



რექტორმა, ბატონმა გიორგი შარვაშიძემ მიმართა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს და განაცხადა, რომ სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტის დაფინანსების სისტემა შესაცვლელია და ამაზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. დაგეგმილია დიდი მშენებლობა ე.წ. „ქიმიკოსების კორპუსის“ ხიმიკების მიმდებარე ტერიტორიაზე, რათა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთო საცხოვრებელი, სხვადასხვა კულტურული და საგანმანათლებლო დანიშნულების ცენტრი მოეწყოს. უნივერსიტეტში ოპტიმიზაციის პროცესი კვლავაც გაგძლდება, თუმცა ეს მოხდება გააზრებულად, გეგმაზომიერად, არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ამაზე უკვე მუშაობს დიდი ოთხეულის ერთ-ერთი სააუდიტორო კომპანია, რომლის დასკვნის საფუძველზე დაიგეგმება სამომავლო ღონისძიებები. ამასთან, აუცილებელია უნივერსიტეტის აღქმისა და ე.წ. „იმიჯის“ შეცვლა, იგი ღია სივრცედ უნდა გარდაიქმნას, რომელიც იქნება ყველასი და ყველა თანაბრად შეძლების წარმატების მიღწევას ამ გარემოში.

***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:***

***მომხრე: 54***

***წინააღმდეგი: 0***

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში (დანართი 3)

2. აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსმა, ქალბატონმა მზექალა აჭაიძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო აკადემიური საბჭოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში. მისი განცხადებით, ანგარიშში წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს მიერ განეული საქმიანობის, ასევე, აკადემიური საბჭოს არჩევნების შესახებ ინფორმაცია.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ლევან გორდემიანმა და აკადემიური საბჭოს წევრმა, ვასილ გონაშვილმა.

*საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:*

*მომხრე: 54*

*წინააღმდეგი: 0*

**მიღებული გადაწყვეტილება:** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში (დანართი 4) მიღებულ იქნეს ცნობად.

3. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცენტრის დირექტორმა, ქალბატონმა ნათია ჩიტაშვილმა წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის №109/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №4/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 იანვრის №10/2017 დადგენილება. მისი განმარტებით, იცვლება რამდენიმე ტექნიკური საკითხი, ასევე დირექტორთა საბჭოში უნივერსიტეტის წარმომადგენლის დანიშვნის წესი - ex officio იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ნაცვლად, იურიდიული ფაკულტეტის საბჭო აირჩევს პირს, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტს დირექტორთა საბჭოში. დადგენილებით, ასევე, გათვალისწინებულია ჰიუსტონის უნივერსიტეტის პროფესორის დირექტორთა საბჭოს წევრად არჩევა.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ლევან ლორთქიფანიძემ.

*საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:*

*მომხრე: 53*

## **წინააღმდეგი: 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ლევან ლორთქიფანიძემ.

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის №109/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №4/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 იანვრის №10/2017 დადგენილება (დანართი 5)

4. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 6 მარტის №24/2017 დადგენილება. მისი განცხადებით, სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა გაუთანაბრდა ადმინისტრაციულ თანამდებობას, შესაბამისად, მათ მიმართ ამოქმედდა შეზღუდვა „ა“ კატეგორიის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, ამასთან, მათ, ასევე, შეზღუდათ დირექტორის თანამდებობრივი სარგოს მიღება, თუკი ისინი აკადემიურ თანამდებობასაც იკავებენ უნივერსიტეტში. ამგვარად, ინსტიტუტის დირექტორებს ორმაგი შეზღუდვა დაუდგინდათ, რაც ნამდვილად არ იყო სამართლიანი. წარმოდგენილი დადგენილებით იხსნება შეზღუდვა შესაბამისი კატეგორიის ხელშეკრულების დადებისთან დაკავშირებით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ლევან გორდემიანმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და მარი წერეთელმა.

*საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:*

**მომხრე: 50**

**წინააღმდეგი: 4**

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2017 წლის 6 მარტის №24/2017 დადგენილება (დანართი 6)

5. არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილების ამოქმედების პირობების განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის №29/2017 დადგენილება. მისი განმარტებით, ამ წლის 5 აპრილს უნდა ამოქმედდეს მინიმალური სამეცნიერო დატვირთვის მომწესრიგებელი ნორმები. აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა ამ საკითხზე და გადაწყვიტა, რომ 4 წლის განმავლობაში სამეცნიერო სტანდარტებს მხოლოდ სარეკომენდაციო ძალა ჰქონდეთ და 2021 წლის 5 აპრილიდან გახდეს სავალდებულო. ერთი წლის განმავლობაში ყველა ფაკულტეტს შესაძლებლობა ეძლევა, თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით შეიმუშავოს შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ლევან ლორთქიფანიძე დაინტერესდა, თუ რამ გამოიწვია მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის 4 წლით გადავადება, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, ეს სტანდარტი მართლაც მინიმალურია. ამასთან დაკავშირებით რექტორის მოადგილემ, მიხეილ ჩხენკელმა განაცხადა, რომ 4 წელი

ბალტიის ქვეყნების გამოცდილება და ეს საკმარისი დროა, რათა აკადემიურმა პერსონალმა მოასწროს ახალ სტანდარტებზე გადასვლა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აკადემიური კონკურსებისთვის ახალი სტანდარტი გავრცელდება, რომელიც ახლა მუშავდება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ლევან გორდემიანმა განაცხადა, რომ, მართალია, წარმოდგენილი ცვლილებებით დოკუმენტი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია, თუმცა პირადად პრინციპულად ეწინააღმდეგება მსგავსი სტანდარტის არსებობას.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ და წევრმა, მანანა შამილიშვილმა.

***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:***

***მომხრე: 52***

***წინააღმდეგი: 0***

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ლევან ლორთქიფანიძემ და ლევან გორდემიანმა.

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილების ამოქმედების პირობების განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის №29/2017 დადგენილება (დანართი 7)

6. არჩილ კუკულავამ წარმოადგინა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების

(თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის №30/2017 დადგენილება. მისი განმარტებით, დადგენილება ძირითადად ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს ითვალისწინებს.

***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:***

***მომხრე: 52***

***წინააღმდეგი: 0***

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ლევან ლორთქიფანიძემ და ლევან გორდემიანმა.

**მიღებული გადაწყვეტილება:** „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის №30/2017 დადგენილება (დანართი 8)

7. არჩილ კუკულავამ წარმოადგინა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური

საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №15/2017 დადგენილება. მისი განმარტებით, ამ დადგენილებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ა“ კატეგორიის ასისტენტ-პროფესორების ხელფასი იზრდება 160 ლარის ოდენობით.

*საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:*

*მომხრე: 54*

*წინააღმდეგი: 0*

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №15/2017 დადგენილება (დანართი 9)

8. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, გიორგი ჯავახიშვილმა მიმართა წარმომადგენლობით საბჭოს. მისი განცხადებით, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში გაიმართა სხდომა, რომელზეც მხარი დაუჭირეს იმ საკანონმდებლო ინიციატივას, რომლისთვისაც სტუდენტები იბრძოდნენ. იცვლება წარმომადგენლობითი საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს დაკომპლექტების წესი და სტუდენტთა წარმომადგენლობის პრინციპი. სტუდენტური თვითმმართველობის ფორმატიც შეიცვლება, შესაბამისად, სტუდენტური თვითმმართველობებისთვის ოთახები არ უნდა იყოს გამოყოფილი. სანამ ახალი წარმომადგენლობითი ორგანოები დაკომპლექტდება, თვითმმართველობის წარმომადგენლები არ უნდა სარგებლობდნენ ოთახებითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, შოთა კუყერაშვილმა განაცხადა, რომ, მართალია, კომიტეტმა იმსჯელა ამ საკითხებზე, თუმცა საბოლოო ფორმით არაა მიღებული კანონპროექტი. უპრიანია, როცა დამტკიცდება, შემდეგ ვისმჯელოთ მსგავს

საკითხებზე. ამასთან, სტუდენტური თვითმმართველობის ოთახები არაა მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობების, არამედ ნებისმიერი სტუდენტისთვისაა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი:

კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი:

დimitრი გეგენავა




სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2017 წლის 31 მარტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- აბესაძე ნინო
- ბარბაქაძე ხათუნა



სტუდენტები:


- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი
- გაგელიძე ტარიელი
- ხუციშვილი სანდრო
- შვანგირაძე მათე
- შუბითიძე ვლადიმერი



## ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

### პროფესორები:

- გოგინავა უშანგი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა
- თევზაძე ალექსანდრე
- შოთა სამსონია



### სტუდენტები:


- ბექაური ბექა
- ბახტურიძე შაატა
- ბასილაია ანანო
- ჩეკურაშვილი ნინო



## იურიდიული ფაკულტეტი

### პროფესორები:


- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიაში
- თოდუა ნონა
- გარიშვილი მარინა



## ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

### პროფესორები:

- გოგინავა უშანგი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა
- თევზაძე ალექსანდრე
- შოთა სამსონია



### სტუდენტები:


- ბეჟაური ბექა
- ბახტურიძე შაატა
- ბასილაია ანანო
- ჩეკურაშვილი ნინო



## იურიდიული ფაკულტეტი

### პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიაში
- თოდუა ნონა
- გარიშვილი მარინა





სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- ონიანი თამარი *თ. ონიანი*
- ოქიტაშვილი გიორგი *გ. ოქიტაშვილი*
- ართქმელაძე თორნიკე

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ქიტუაშვილი თინა *თ. ქიტუაშვილი*
- ხოდელი ნოდარი
- ჩხაიძე ზურაბ *ზ. ჩხაიძე*

სტუდენტები:

- თამარ ჩხაიძე *თ. ჩხაიძე*

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი *მ. წერეთელი*
- შამილიშვილი მანანა *მ. შამილიშვილი*
- ტუკვაძე ავთანდილი *ა. ტუკვაძე*

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა
- შვეარდნაძე თორნიკე



ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი


პროფესორები:

- უვანია ირინე
- ჩახუნაშვილი ნინო



სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა
- თოფურია სალომე



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდემიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი



- პაიჭაძე თამარი *თ. პაიჭაძე*
- შარაბიძე თამარი *თ. შარაბიძე*

სტუდენტები:

- ჯებაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა
- კეყერაშვილი შოთა *შოთა კეყერაშვილი*
- ჯავახაძე გიორგი *გიორგი ჯავახაძე*

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი *ზ. გაიპარაშვილი*

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

- ღარიბაშვილი ირაკლი *ირაკლი ღარიბაშვილი*

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

- სუმბაძე ციური *ციური სუმბაძე*

ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

- ბაშელეიშვილი ლევანი *ლ. ბაშელეიშვილი*



ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

- ქადეიშვილი თორნიკე

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

- მაჭავარიანი ნანა

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

- წაქაძე სევერიანი

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

- ხომერიკი გიორგი

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

- რუსიაშვილი გიორგი




ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

- იოსელიანი ხათუნა



კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

- ახალბედაშვილი ლალი



მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი

- ალანია ვიქტორი *ვ. ალანია*

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

- რევიშვილი ზურაბი *ზ. რევიშვილი*

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

- ხეცურიანი ნათელა *ნ. ხეცურიანი*

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

- ხუციშვილი მარინე *მ. ხუციშვილი*

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

- ნემსაძე ადა *ა. ნემსაძე*

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

- მიხეილ რუხაია *მ. რუხაია*

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

- თამარ ჯობავა *თ. ჯობავა*



სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია  
2017 წლის 31 მარტი

• გიორგი შარვაშიძე

• ირმა ხარშილაძე

• ირინე ქურდაძე

• ნოდარ ბელქანია

• ამირან ბერძენიშვილი

• გიორგი ღვედაშვილი

• ომარ ფურთუხია

• თამარ აბაშიძე

• რუსუდან სანაძე

• ელგუჯა მექვაბიშვილი

• მარინე მინდორაშვილი

• ავთანდილ სილაგაძე

• ჰაატა იმნაძე

- ნინო ოკრიბელაშვილი

- დავით გოცირიძე

- აპოლონ სილაგაძემ



- აკაკი ყულიჩანიშვილი



- ვასილ გონაშვილი



- დავით კერესელიძე



- გია ლობჟანიძე

- ალექსანდრე კუხიანიძე



- ანასტასია ქიტიაშვილი

- მარინე ზაუტაშვილი



- ნათელა ანანიაშვილი




- ზურაბ ცაგარელი







- ავთანდილ ამირანაშვილი



- ერეკლე გამყრელიძე



- თამაზ ყარალაშვილი

- მურმან კვინიკაძე 
- ნუგზარ შავლაყაძე
- ნოდარ ცინცაძე 
- გაგა ლომიძე
- დავით მერკვილაძე
- მედეა ლლონტი
- გოჩა ფერაძე 
- მამუკა ხუსკივაძე 
- რევაზ შანიძე 
- ნიკოლოზ ავაზაშვილი 

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის  
ანგარიში

2016 წელი

## I. სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

2016 წლის განმავლობაში, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ინიციატივით, თანამშრომლობითა და ხელშეწყობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: პერმანენტულად წარმოებდა სამუშაო შეხვედრები მიმდინარე სამეცნიერო, საგრანტო და საორგანიზაციო საკითხებზე; მიმდინარეობდა ადგილობრივი/საერთაშორისო ფონდების (SRNSF, EU HORIZON2020, GRDF/CRDF, USTC, NATO, ISTC, SNF, TEMPUS და სხვა) საგრანტო კონკურსების პირობების გაცნობა, ინფორმაციის გავრცელება. საკონკურსოდ წარსადგენი საგრანტო პროექტების წინასწარი მონიტორინგი, აღრიცხვა და საჭიროებისამებრ კონსულტაციების გაწევა; მიმდინარეობდა საერთაშორისო ფონდების ადგილობრივ წარმომადგენლობებთან კონსულტაციები საგრანტო კონკურსებში თანამშრომლობის მიზნით; ინსტიტუტებთან წარმოებდა შეხვედრები არსებული სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკის გარშემო; მიმდინარეობდა უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა/მონიტორინგი; მუდმივად მიმდინარეობდა უცხოელ ექსპერტთა ბაზის შევსება და დოქტორანტთა ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირება;

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოთხოვნის საფუძველზე, მომზადების პროცესშია უნივერსიტეტის 2016 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში.

2016 წელს, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში გაიმართა ინოვაციების მხარდამჭერი საკანონმდებლო რეფორმის საჯარო განხილვა. შემუშავდა წინადადებები კანონპროექტში შესატან ცვლილებებზე (*იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად*); განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან პერმანენტულად მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები, უნივერსიტეტის წესდებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით; შემუშავდა უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო -კვლევითი ერთეულების შექმნის ახალი კრიტერიუმები; შემუშავდა უნივერსიტეტის პერსონალისათვის ახალი მინიმალური სამეცნიერო სტანდარტი; განხორციელდა თსუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისათვის დებულების შემუშავება/დამტკიცება.

დეპარტამენტი მუდმივად უწყევს კურირებას პოსტდოქტორანტების კონკურსს და ჩართულია მის განხორციელებაში.

“ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ” დებულებისა და კონკრეტული განცხადების შესაბამისად ხდება კომისიის ფორმირება და პირველი შეკრების ორგანიზება (*მოცემული პერიოდისათვის მუშაობს ერთი კომისია*);

ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმი; უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ „მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალზე“; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან და ელსევიერთან ერთობლივად მოხდა მეცნიერებისა და განვითარების ფორუმის ორგანიზება; ჩაატარდა ვებინარები შემდეგ თემებზე: „Science Direct პლატფორმის წარმოდგენა და შესაძლებლობები“; „SCOPUS პლატფორმის წარმოდგენა და შესაძლებლობები“; “Mendeley-ს წარმოდგენა და შესაძლებლობები“; უნივერსიტეტის სხვადასხვა რანჟირების სისტემაში ჩართვის მიზნით, სისტემატურად ხდება საჭირო ინფორმაციის შეგროვება/მიწოდება; (Times Higher Education World University Rankings (THE); Multiranking);

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაეგზავნა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეკომენდაციები და შევსებული კითხვარი იუნესკოს მიერ მეცნიერ-მკვლევარების სტატუსის შესახებ 1974 წლის რეკომენდაციების განახლების მიზნით; განხორციელდა იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის კითხვარისთვის (2016 Research and Experimental Development Survey) ინფორმაციის შეგროვება/მიწოდების უზრუნველყოფა.

სხვადასხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სამუშაო შეხვედრებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი დეპარტამენტის თანამშრომლები. მათი მონაწილეობით განხორციელდა სამუშაო ვიზიტი ქ.ვილნიუსის უნივერსიტეტში, ევროკავშირის პროგრამის „Marie Curie“, “ევროკავშირში გაწევრიანების წინა პროცესში საქართველოსა და მოლდოვისთვის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გაწევრიანების წინა პროცესის საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობები, შეზღუდვები, დაბრკოლებები და გამოწვევები“. მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში “CULTURAL BRIDGES AND UNDERBRIDGES”; ქ.ვილნიუსი, ლიტვა მიკროტალღების ევროპულ კვირეულში; ზაფხულის ვორქშოპში „პოლიტიკის შემუშავება და სოციალური კვლევის მეთოდები“ TEMPUS IV, 6 კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტის “Development of Embedded System Courses with implementation of Innovative Virtual approaches for integration of Research, Education and Production in UA, GE, AM - DESIRE 544091-TEMPUS-1-2013-1-BE-TEMPUS-JPCR” ფარგლებში გამართულ სიმპოზიუმში; მეხუთე საერთაშორისო კონფერენციაში ზეგამტარიანობა და მაგნეტიზმში; ნანოტექნოლოგიების და ნანომეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში – ANNIC 2016.

*2016 წელს, დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო საგრანტო პროექტებში. კერძოდ: MTCU/110/6-110/14 პროექტი “მაგნიტოსტრიქციული მასალების მაგნიტოაკუსტიკური და მახსოვრობის ეფექტების შესწავლა ბმრ და მაგნიტური ვიდეო-იმპულსის გამოყენებით“; SRNSF #FR/41/3-250/14 პროექტი „მაგნიტური ნანოკლასტერებით დოპირებული ნახშირბადოვანი ნანონაწილაკების სინთეზი და მათ საფუძველზე შექმნილი თვითაღმდგენი მაგნიტური პოლიმერული ნანოკომპოზიტური ფირების დამზადება და დახასიათება“; TEMPUS IV-ის მეექვსე კონკურსის გრანტი “Development of Embedded System Courses with implementation of Innovative Virtual approaches for integration of Research, Education and Production in UA, GE, AM ” – DESIRE.*

**სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა** მოამზადა და მიაწოდა ინფორმაცია:



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას სტაჟირების პროგრამისათვის „დაიწყე კარიერა“; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარჩინებული სტუდენტების შერჩევის შესახებ (წარჩინებულ სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის); ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს პროგრამისათვის - „წარმატებული სტუდენტების წახალისება“ (უნივერსიტეტის წარჩინებული მაგისტრანტების სია); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონკურსისათვის - პროექტის მენეჯერი - კანდიდატურების შერჩევის შესახებ; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სოკარის“ სტიპენდიანტობის კანდიდატების შერჩევის შესახებ; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმატებული სტუდენტების შერჩევის შესახებ; საგანმანათლებლო პორტალ edu.aris.ge-ს და პერიოდული პრესის გამოცემებს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე; სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებს საინფორმაციო ბრუნდებისათვის; სახელმწიფო აუდიტის სამსახურს (მათი მოთხოვნების შესაბამისად). დეპარტამენტი ონლაინ რეჟიმში ემსახურებოდა (დეპარტამენტის ოფიციალური ელფოსტის და სოციალური ქსელის მეშვეობით) სტუდენტებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, ხოლო კურსდამთავრებულებს - სხვადასხვა საკითხებზე; პასუხობდა როგორც ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებს, ასევე განყოფილებებში არსებულ ქალაქის ტელეფონებზე.

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება 2016 წლის განმავლობაში ახორციელებდა სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობდა როგორც უნივერსიტეტის შიდა სტრუქტურებთან, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებთან, კერძოდ: საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხებზე - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD); გაეწია კონსულტაციები ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს სტიპენდიის კანდიდატების შერჩევის წესის თაობაზე; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტსა და შპს კავკასიის უნივერსიტეტს შორის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შესახებ ხელშეკრულების შემუშავებაში მონაწილეობა და რეკომენდაციების შემუშავება; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდასაუნივერსიტეტო პროექტის „სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია“ შექმნისა და პროექტის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის სასწავლო გარემოს ადაპტირების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა; თსუ-ს 2017-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა; სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის სამმართველოს მიერ ჩატარებულ სემინარებში („სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტების ეფექტური ადმინისტრირება“, მობილობა და სხვ.) მონაწილეობა; საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გამართულ განათლების ფორუმში მონაწილეობა.

2016 წელს სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებამ განიხილა 3472 კორექსიონდენცია. მოამზადა 904 ბრძანების პროექტი და 2500-მდე წერილი.

განყოფილების მიერ მომზადდა საუნივერსიტეტო მნიშვნელობის 29 ბრძანება: სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ, მობილობისა და შიდა მობილობის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულ სტუდენტთა პირადი საქმის გახსნის შესახებ, მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ, რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურზე მიღების მიზნით ტესტირების ვადების განსაზღვრის თაობაზე; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2016-2017 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016-2017 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ და სხვ.

საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად მომზადდა უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტები: ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკადემიურ უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატთა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების ფაკულტეტებზე ჩარიცხვის თაობაზე; მობილობისა და შიდა მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე, მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის თაობაზე; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე, სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი (შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, დამატებითი სემესტრი) – 419 პროექტი, რექტორის მიერ გამოცემულ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში ტექნიკური შეცდომის გასწორებისა და ცვლილებების, ასევე სტუდენტების პირად მონაცემებში ცვლილებების განხორციელების თაობაზე - 329 პროექტი; საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მიღწეული აღიარებული კრედიტების საფუძველზე სემესტრის განსაზღვრის თაობაზე - 135 პროექტი;

დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში განყოფილება მონაწილეობდა უნივერსიტეტის ნორმატიული დოკუმენტების შედგენასა და ექსპერტიზაში. კერძოდ, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016-2017 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ; სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015-2016



სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ; „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 8 დეკემბრის №117/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესის და უცხო ენის ცოდნის განმარტების“ შესახებ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 9 ივნისის №49/2014 დადგენილებაში დამატების შეტანა; სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით სპეციალური ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ; „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის №77/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ; „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“; სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017-2018 სასწავლო წლის ბაკალავრიატისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოების დებულებების დამტკიცების შესახებ; „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის №139/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ; პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ან/და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების დადგენისა და ფაკულტეტებზე სახელმწიფო სტიპენდიით დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

განყოფილებამ უზრუნველყო 2016-2017 სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განსათავსებლად საინფორმაციო და საცნობარო მასალის მომზადება შიდა და გარე მობილობაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთათვის, პირველსემესტრული ბაკალავრებისათვის, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის, მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩასარიცხი აპლიკანტებისათვის, ერთიანი ეროვნული/საერთო

სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტებისათვის; მოახდინა საინფორმაციო ბროშურისათვის - „სტუდენტის გზამკვლევი“ - ტექსტის შემუშავება.

უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტიდან და ფაკულტეტების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის-აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო დატვირთვები (ფორმა N5) და სასწავლო-სამუშაო გეგმების (ფორმა N2) და საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე განახორციელა აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების შედარება შესაბამის სემესტრში გამოცხადებულ სასწავლო კურსებთან. აღმოჩენილი ხარვეზების თაობაზე ეცნობა უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს.

განყოფილება მონაწილეობდა უცხოელი სტუდენტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე 99 აბიტურიენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის/სტუდენტის სასწავლო პროცესში ინტეგრირებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებში (მომზადდა 21 ბრძანების პროექტი).

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებამ მოამზადა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან, ბაკალავრებთან, მაგისტრანტებთან, დოქტორანტებთან, რეზიდენტებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები.

სტუდენტთა მომსახურების განყოფილება უნივერსიტეტში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით აქტიურად თანამშრომლობდა როგორც საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელ -ENIC/NARIC-თან, უცხოეთის ქვეყნების სტრატეგიული საინფორმაციო რესურსების ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სააგენტოებთან და ნაციონალურ ცენტრებთან, სხვადასხვა უნივერსიტეტების საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებებთან, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურასთან.

განყოფილებამ 2016 წელს რეაგირება მოახდინა 3256 კორესპონდენციაზე. გარკვეულ ნაწილზე მომზადდა საპასუხო წერილები; ასევე მომზადდა რექტორის 820 ბრძანების პროექტი: დიპლომისა და დიპლომის დანართის დუბლიკატის გაცემასთან დაკავშირებით, დიპლომისა და დიპლომის დანართის შესწორებასთან დაკავშირებით (ტექნიკური ხარვეზის არსებობისას), დოკუმენტების ნამდვილობასთან დაკავშირებით, კურსდამთავრებულთა პირად მონაცემებში ცვლილებების დროს უნივერსიტეტის მიერ გამოცემული (შექმნილი) დოკუმენტების გასწორებასთან დაკავშირებით, კურსდამთავრებულთა პირად საქმეში სრულყოფილი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში წარმოების ჩატარებისა და დოკუმენტების შექმნასთან დაკავშირებით.

დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში განყოფილება მონაწილეობდა თსუ-ს ნორმატიული დოკუმენტის შედგენასა და ექსპერტიზაში. “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომის დანართის შემუშავებისა და შევსების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №61/2011 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

განყოფილებამ უზრუნველყო: 2016–2017 სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების, უცხოელი

სტუდენტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების, მობილობით გადმოსული სტუდენტების ხელშეკრულებები (11 000 ცალი) რექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით.

ვაჟი სტუდენტების აღრიცხვა და ფორმა №26-ის მომზადება: 2016 წელს დამზადდა 3982 ცალი ფორმა ტ-2 და ფორმა №26, მათ შორის 1631 პირველკურსელის ფორმა №26 გადაეგზავნა შესაბამისი რაიონების ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოებს, 360 ცალი ფორმა №26 გაიცა ხელზე, ხოლო 1991 ცალი ფორმა ტ-2 განთავსდა სტუდენტთა სამხედრო აღრიცხვის ბარათებში.

სტუდენტების დამზადება გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისათვის - 60 ცალი; შეცვლილი დიპლომებისა და დიპლომის დუბლიკატის ასლების თანდართული დოკუმენტებით მომზადება და არქივისათვის გადაცემა - 610 ცალი; 2009-2010, 2010-2011, 2011-2012 წლის კურსდამთავრებულთა პირადი საქმისთვის დიპლომის ასლის დამზადება - 6200 ცალი. საუტილიზაციოდ მომზადება და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის 2013 წლის 2916 ცალი გამოსაყენებლად უვარგისი\_დიპლომის ფორმის წარდგენა; 2010 და 2012 წლების გამოსაყენებლად უვარგისი 1902 ცალი დიპლომის ფორმის განადგურება; სატენდერო წინადადებების მომზადება დიპლომების ფორმების დამზადებასთან დაკავშირებით; საფინანსო დეპარტამენტისათვის კვარტალურად ინფორმაციის მიწოდება დიპლომების ფორმების ხარჯვის შესახებ. თსუ კურსდამთავრებულების, თსუ ყოფილი ფილიალების, შემოერთებული უნივერსიტეტებისა და მათი ყოფილი ფილიალების კურსდამთავრებულთა პრობლემური პირადი საქმეების სრულყოფა.

კურსდამთავრებულთათვის: დიპლომის დამზადება-4500 ცალი; დიპლომის დუბლიკატის დამზადება - 160 ცალი; დიპლომის შეცვალა- 500 ცალი; დიპლომის დანართის შეცვალა - 240 ცალი; კურსმოსმენილის მოწმობის დამზადება - 12 ცალი; რეზიდენტურის მოწმობის დამზადება - 7 ცალი; ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის მეორადი სწავლების სერტიფიკატის დამზადება - 10 ცალი; პედაგოგიკის სერტიფიკატის დამზადება-3 ცალი; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატის დამზადება - 225 ცალი; სხვადასხვა სახის ცნობის დამზადება - 630 ცალი; დიპლომის, დიპლომის დანართისა და ცნობის ასლების დამოწმება და თსუ კონვერტით გაცემა - 590 ცალი.

უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის, უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დანართებისა და ცნობების ნამდვილობის დადასტურების მიზნით კორესპონდენციის დამზადება და გაგზავნა: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 600 კორესპონდენცია; სხვადასხვა ორგანიზაციებში - 50 კორესპონდენცია; სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებში - 23 კორესპონდენცია; სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებში - 35 კორესპონდენცია; მოქალაქეებს გაეგზავნათ - 45

კორესპონდენცია; თსუ არქივში გაიგზავნა – 1600 შუალედური კორესპონდენცია; უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე გაიგზავნა – 570 შუალედური კორესპონდენცია.

განყოფილებაში არსებული მასალის დაარქივება და არქივისათვის გადაცემა: უნივერსიტეტის 2011 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომი და დიპლომის დანართი - 182 ცალი; 2011 წლის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატი 2 ცალი; 2011 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი - 4 ცალი; 2011 წლის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი - 1 ცალი.

სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება საგანმანათლებლო რეესტრის წარმოების მიზნით აქტიურად თანამშრომლობდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან.

2016 წელს განყოფილებაში დამუშავდა 668 კორესპონდენცია და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე მომზადდა წერილები.

განყოფილებამ განახორციელა 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრსა და 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანა-განახლება. აღნიშნული ინფორმაციის შეტანა მოხდა თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაშიც.

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დააფიქსირა 2016 წელს უნივერსიტეტში ჩარიცხული/შიდა მობილობით გადასული 5563 სტუდენტის სტატუსი და ასახა ჩარიცხვის თაობაზე გამოცემული რექტორის ბრძანებები. იგივე პროცედურა განხორციელდა აღნიშნული რაოდენობის სტუდენტზე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (sms.tsu.ge, lms.tsu.ge).

სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილებამ უზრუნველყო: 1600-მდე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაფიქსირება როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ასევე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში. უნივერსიტეტში გარე მობილობის წესით სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ჩარიცხული 39 სტუდენტის შესახებ ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში. უნივერსიტეტში მაგისტრატურის საფეხურზე ჩარიცხული 1299 სტუდენტის და დოქტორანტურის საფეხურზე ჩარიცხული 288 სტუდენტის შესახებ დოკუმენტაციის მომზადება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დასამატებლად. უნივერსიტეტში ჩარიცხული ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხული 99 (70-ბაკალავრი, 29-მაგისტრანტი) სტუდენტის შესახებ დოკუმენტაციის მომზადება და ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ასევე უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ინფორმაციის ასახვა 549 სტუდენტის თაობაზე, რომელთაც შიდა მობილობის წესით შეიცვალეს პროგრამა. იგივე ინფორმაცია აისახა თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.

უნივერსიტეტიდან, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასული 909 (2015-2016 ს/წლის გაზაფხულის სემესტრში თსუ-დან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადავიდა 366 სტუდენტი, 2016-2017 ს/წლის შემოდგომის სემესტრში - 543 სტუდენტი) სტუდენტის თაობაზე ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

4260 დიპლომისა და დიპლომის დანართის დასკანერება და საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ატვირთვა; 600-მდე დიპლომისა და დიპლომის დანართის დასკანერება და ატვირთვა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (lms.tsu.ge); 1600-მდე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასკანერება და ატვირთვა თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (sms.tsu.ge); საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემთა ბაზის შევსებისა და კორექტირების მიზნით 120-მდე სტუდენტის თაობაზე დოკუმენტაციის მოძიება და გაგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ასევე შესაბამისი ელექტრონული წერილების გაგზავნა; 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ახალი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (lms.tsu.ge) შესაბამისობაში მოყვანა საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრისა და არსებული სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მონაცემებთან; lms.tsu.ge ბაზაში ინფორმაციის გადამოწმება სხვადასხვა სტატუსის მქონე 2958 დოქტორანტის შესახებ;

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გადმოგზავნილ 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლების მქონე სტუდენტთა სახელობით სიაში უზუსტობების აღმოჩენა მისი კორექტირების მიზნით;

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების მიხედვით სპეციალური კითხვარების შევსება - ვაკანსიების განსაზღვრა ცალკეული პროგრამების მიხედვით, სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება აქტიური, შეჩერებული, შეწყვეტილი, მობილობით გადასული სტუდენტების რაოდენობების შესახებ და ა.შ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტების რეგისტრაცია და პროფესიული კოლეჯების მართვის სისტემაში ინფორმაციის შეტანა უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 313 სტუდენტის შესახებ;

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურისათვის კურსდამთავრებულთა დიპლომის ნამდვილობის შესახებ და სტუდენტების სწავლის ფაქტის დადასტურების შესახებ 170 ცნობის დამზადება.

დეპარტამენტის მიერ დამუშავდა, სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემები, როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის, ასევე ფიზიკური პირებისათვის. კერძოდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურისათვის - სტატისტიკური გამოკვლევის კითხვარები - „მონაცემები უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების მუშაობის შესახებ“ და „მონაცემები დოქტორანტების მომზადების შესახებ“; საქართველოს სხვადასხვა ქალაქების მუნიციპალიტეტებისათვის სამხედრო აღრიცხვიანობის მოწესრიგებისა და გაწვევის ორგანიზებულად წარმართვისათვის - ინფორმაცია ვაჟი სტუდენტების სტატუსის შესახებ და სხვა; მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სხვადასხვა საერთაშორისო სისტემებში მონაწილეობის მისაღებად - სტატისტიკური ინფორმაცია როგორც სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულთა რაოდენობების შესახებ (დარგების შესაბამისად).

**უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ ჩატარებული, 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის I შუალედური გამოცდების სტატისტიკა**

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	სტ.რაოდ
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	137	11134
ჰუმანიტარული	55	7246
სოციალურ და პოლიტიკური	72	6629
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	24	2884
ეკონომიკისა და ბიზნესის	66	14374
ეკონომიკისა და ბიზნესის კომპიუტერებთან (ბაკ)	16	5615
ეკონომიკისა და ბიზნესის (მაგ)	3	269
ეკონომიკისა და ბიზნესის (მაგ) კომპიუტერებთან	2	178
იურიდიული	100	14908
იურიდიული (მაგ)	1	13
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	21	4429
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა კომპიუტერებთან	4	624
მედიცინა	21	900
აზერბაიჯანელი სტუდენტები	1	250
<b>სულ</b>	<b>523</b>	<b>69453</b>

**2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის II შუალედური გამოცდების სტატისტიკა**

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	სტ.რაოდ
ჰუმანიტარული	48	5545
სოციალურ და პოლიტიკური	41	4288
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	22	2293

იურიდიული	95	12730
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	2	579
მედიცინა	11	622
სულ	219	26057

2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ძირითადი გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	ახალი ცხრილის მიხედვით
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	89	7698
იურიდიული	99	15735
იურიდიული (მაგ)	11	299
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	33	3106
ეკონომიკისა და ბიზნესის	68	14433
ეკონომიკისა და ბიზნესის (კომპ)	17	5585
ეკონომიკისა და ბიზნესის (მაგ)	2	32
ჰუმანიტარული	444	18764
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	21	3094
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა(კომპ)	2	252
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	155	11555
მედიცინა	29	1010
სულ	970	81563

2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის I შუალედური გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	ახალი ცხრილის მიხედვით
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	91	7549
იურიდიული	92	15415
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	26	2836
ეკონომიკისა და ბიზნესის	52	13701
ეკონომიკისა და ბიზნესის (კომპ)	19	5313
ეკონომიკისა და ბიზნესის (მაგ)	14	1774
ჰუმანიტარული	74	7678
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	18	2929
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა(კომპ)	6	656
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	128	12366
მედიცინა	23	951
სულ	543	71168

2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის I შუალედური გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	ახალი ცხრილის მიხედვით
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	29	2417
იურიდიული	79	14250
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	32	3405
ჰუმანიტარული	56	5184
მედიცინა	5	206
სულ	201	25462

2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ძირითადი გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	საგნის რაოდენობა	სტუდენტთა რაოდენობა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	99	7985
იურიდიული	96	16592
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	33	3550
ეკონომიკისა და ბიზნესის	53	13706
ეკონომიკისა და ბიზნესის (კომპ)	18	5810
ეკონომიკისა და ბიზნესის (მაგ)	14	1776
ეკონომიკისა და ბიზნესის (მაგ/კომპ)	4	150
ჰუმანიტარული	418	18409
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	18	2180
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა(კომპ)	7	662
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	132	12662
მედიცინა		3483
სულ	892	86965

2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების სტატისტიკა

ფაკულტეტი	განცხადებუბის რაოდენობა	დადებითი ქულა
ევროპისმცოდნეობა (ინგლისურენოვანი)	20	17



ეკონომიკისა და ბიზნესის	508	267
ტურიზმის სკოლა	42	34
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	233	178
იურიდიული	440	248
მედიცინა	39	12
მიგრაციის მართვა	20	16
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	455	250
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	321	145
კიოლნის სამაგისტრო პროგრამა	33	26
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	270	175
სულ	2381	1368

2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების სტატისტიკა

#	ფაკულტეტი	განცხადების რაოდენობა	უცხო ენა დადებითი ქულა
1	ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	39	24
2	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	88	72
3	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	56	49
4	ეკონომიკისა და ბიზნესის	69	66
5	იურიდიული	69	64
6	მედიცინა	50	46
7	ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი	5	4
8	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერება ფაკულტეტი	16	16
	სულ	392	341

აღსანიშნავია, რომ სემესტრის განმავლობაში კვირაში ორჯერ ტარდება მედიცინის ფაკულტეტზე გამოცდები. აგრეთვე, პერიოდულად ტარდება გამოცდა უცხო ენაში გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისათვის და ფაკულტეტებზე მაგისტრანტებისთვის და ბაკალავრებისთვის უცხო ენის დონის განმსაზღვრელი ტესტირებები.

2016 წლის განმავლობაში, უწყვეტი განათლების ცენტრი აგრძელებდა TEMPUS-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „Strengthening the Specific Role of Universities as LLL Institutions, SSRULLI“ (უნივერსიტეტების, როგორც სწავლა უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძიერება) განხორციელებას. პროექტის მიზანია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში უნივერსიტეტების, როგორც უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძიერება. პროექტის წარმდგენი და კოორდინატორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია. SSRULLI-ს ევროპელი პარტნიორები არიან: გრაცის კარლ ფრანცის სახელობის უნივერსიტეტი (ავსტრია); ჰამბურგის უნივერსიტეტი (გერმანია); ტალინის უნივერსიტეტი (ესტონეთი). პროექტის პარტნიორები რეგიონიდან არიან: აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია; Dv International - საქართველო; ხაზარის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი); კავკასიის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი), აზერბაიჯანის ზრდასრულთა განათლების ასოციაცია, ჰოვანეს თუმანიანის სახელობის ვანაძორის პედაგოგიური ინსტიტუტი (სომხეთი), ბრიუსელის სახელობის ერევნის სახელმწიფო ენების უნივერსიტეტი (სომხეთი), Dv International - სომხეთი. პროექტის ფარგლებში 2016 წლის გამნმავლობაში განხორციელდა უწყვეტი განათლების ცენტრის თანამშრომლების გადამზადება ტრენინგ მოდულით „ტრენინგების ტრენინგი“, რომელიც განხორციელდა ორჯერ Dv International-სა და საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის ეგიდით. ასევე განხორციელდა პროექტის ფარგლებში განვითარებული 3 კურსი: შრომის სამართალი - ტრენინგკურსი (სამიზნე აუდიტორია: თბილისის გამგეობის თანამშრომლები) ზოგადი მენეჯმენტი - ტრენინგკურსი (სამიზნე აუდიტორია: თსუ-ის თანამშრომლები), ინფორმაციის ცოდნად გადაქცევის პრაქტიკული კურსი - ტრენინგკურსი (სამიზნე აუდიტორია: თსუ-ის თანამშრომლები) პროექტის ფარგლებში უწყვეტი განათლების ცენტრმა 2016 წლის მაისში უმასპინძლა პროექტის დასკვნით საერთაშორისო კონფერენციას. საჯარო ლექციები და სხვა ღონისძიებები: 2016 წლის განმავლობაში უწყვეტი განათლების ცენტრის ორგანიზებით სხვადასხვა თემაზე გაიმართა 11 საჯარო ლექცია ფართო საზოგადოებისათვის.

2016 წლის ივნისში, ცენტრის ინიციატივით და ორგანიზებით შედგა ორი შეხვედრა, რომელთა მთავარი თემა საქართველოს საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ასოციაციის დაფუძნება და ასოციაციის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა იყო. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს 18 უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა. ერთობლივად შემუშავდა ასოციაციის მუშაობის სტრატეგია, მიზნები და ამოცანები, გადაწყდა, რომ ასოციაცია ახლო მომავალში უნდა დაფუძნდეს ოფიციალურად.

საანგარიშო პერიოდში, ცენტრმა მონაწილეობა მიიღო DVV International ორგანიზებით გამართულ ზრდასრულთა განათლების ფესტივალში. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ განათლების საერთაშორისო გამოფენაში.

2016 წელს ჩატარებული უწყვეტი განათლების კურსები:

N	კურსის სახელწოდება	ჯგუფების რაოდენობა წლის განმავლობაში	მსმენელების ჯამური რაოდენობა წლის განმავლობაში
1	ტრენერების ტრენინგი დამწყებთათვის	11	90
2	ტრენერების ტრენინგი (ინტენსიური კურსი)	1	20
3	კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის	2	12
4	ზოგადი ინგლისური (A2)	1	7
5	ზოგადი ინგლისური (B1)	1	11
6	CISCO -ს ქსელის სერტიფიცირებული სპეციალისტის კურსი;	1	6
7	აღმზრდელი ბაგა -ბადის	1	14
8	მეცნიერება და ინტერკულტურული კომუნიკაცია გერმანიაში	2	24
9	სწავლა და ცხოვრება გერმანიაში - გერმანულ ენაზე სასაუბრო კურსი	1	5
10	ინფორმაციის ცოდნად გადაქცევის კურსი	1	13
11	შრომის სამართალი	1	9
12	ზოგადი მენეჯმენტი	1	10
13	სკოლის გამოსაშვები საატესტატო გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსები	1	4
14	ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსები	13	28
15	საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის მოსამზადებელი კურსები	4	46
ჯამი		42	221

ზრდასრულთა უწყვეტი განათლების კურსებით მიღებული შემოსავლები: 102405 ლარი (აქედან პედაგოგების ხელფასებზე დაიხარჯა - 56052.5 ლარი).

2016 წელს ოფიციალურად დამტკიცებული ახალი სასერტიფიკატო და ტრენინგურები:

N	კურსი	ბრძანების ნომერი და თარიღი
1	germanuli enis praqtikuli kursi (A1)	N41/01-01, 29.03.2016
2	eqstensiuri/intensiuri franguli enis kursi zrdasrulTaTvis (A2, B1)	N42/01-01, 29.03.2016
3	zogadi inglisuri (A1,A2, B1,B2)	N51/01-01, 08.04.2016
4	zogadi inglisuri (C1)	N69/01-01, 28.04.2016
5	treningi umaRlesi ganaTlebis akademiuri personalisTvis	N111/01-01, 29.06.2016
6	sabaziso Teoriuli da praqtikuli kursi Tanamedrove genetikaSi eqimebisa da biologiebisaTvis	N33/01-01, 09.03.2016
7	ekonometrikuli modelireba da prognozireba Eviews-ის გამოყენებით: საკარტელის შედეგები	N132/01-01, 29.07.2016
8	qarTuli ena ucxoelebisaTvis	N230/01-01, 19.12.2016
9	praqtikuli inglisuris	N231/01-01, 19.12.2016

თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის საბავშვო უნივერსიტეტის ღონისძიებები:

კონკურსები, კონფერენციები და სხვა ერთჯერადი აქტივობები	მონაწილე მოსწავლის/სკოლის რაოდენობა
ექსკურსიები: I კორპ. მუზეუმი ზოოლოგიის მუზეუმი ემიგრაციის მუზეუმი	1000-მდე მოსწ.
პროფორიენტაციის შეხვედრები	236 მოსწ.
რეგიონებში გასვლა- დია კარის დღეები	13 გასვლა 650-მდე მოსწ.
„შექმენი შენი საახალწლო ნაძვის ხე“	64 სკოლა 140 მონაწილე
ფოტოკონკურსი	110 მონაწილე
წალკა - რეგიონული კონფერენცია	6 სკოლა 30 მონაწილე
ინგლისურენოვანი კონფერენცია	2 სკოლა 50 მონაწილე
გეოგრაფიული ვიქტორინა (ბაღდათი)	7 სკოლა 35 მონაწილე
საბუნებისმეტყველო ვიქტორინა	143 სკოლა 715 მონაწილე
ვიქტორინა მათემატიკაში	150 სკოლა 450 მონაწილე
გამოფენები, დასუფთავება, ხეების დარგვა და ა.შ.	70-მდე მონაწილე
მრავალჯერადი აქციები	

„ნორჩთა სკოლები“ (ჰუმანიტართა, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, ასტრონომია, ეკონომისტთა, საზოგადოებრივ მეცნიერებებში და ა.შ.)	500-მდე მოსწ.
სულ კონტაქტი სასწავლო წლის განმავლობაში	
მოსწავლეები	3 986- მდე მოსწ.
სკოლები	385- მდე სკოლა

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის არსებობის პირობებში, უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრისთვის კვლავ დაუძლეველ გამოწვევად რჩება, ფასიანი საინფორმაციო საშუალებებით უწყვეტი განათლების პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რაც ხელს გვიშლის ფართო საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია უწყვეტი განათლების ცენტრის სერვისების შესახებ და გავზარდოთ კურსებისა და მსმენელების რაოდენობა.

2016 წლის მანძილზე, უნივერსიტეტის **სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის** საქმიანობა მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებებით. კერძოდ, იანვრიდან ივნისის ჩათვლით ცენტრი რეგულარულად სთავაზობდა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ტრენინგებს დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებაში ძირითადად შეთავაზებული იყო 2 მოდული: სააპლიკაციო დოკუმენტაციის წერა (CV, სამოტივაციო წერილი); დამსაქმებელთან ინტერვიუსთვის მომზადება. *(მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგებზე აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ უნდა დაიწეროს სივი და რეზიუმე მიზნობრივად კონკრეტული ვაკანსიისთვის, რათა თითოეულ აპლიკაციაში სტუდენტმა თუ კურსდამთავრებულმა მაქსიმალურად გამოკვეთოს ის უნარები და გამოცდილება, რომელიც მოითხოვება ამა თუ იმ პოზიციაზე. ტრენინგზე ხდება კონკრეტულ ვაკანსიებზე სტუდენტების მიერ გაგზავნილი, რეალური აპლიკაციების ანალიზი და განხილვა).*

ტრენინგები შეთავაზებული იყო (პერიოდების მიხედვით) ხან ყოველკვირეულად, ხან - 2 კვირაში ერთხელ. ტრენინგებს ესწრებოდა ყველა ფაკულტეტისა და სწავლის ყველა საფეხურის სტუდენტი (ძირითადად ბაკალავრიატი და მაგისტრატურა). გაზაფხულის სემესტრში ჩატარდა ასევე გასვლითი ტრენინგები თითოეულ ფაკულტეტზე (გარდა სამედიცინო ფაკულტეტისა).

2016 წლის მანძილზე უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდებოდა დამსაქმებლებთან შეხვედრები. სწავლის პერიოდის მიხედვით შეხვედრები სხვადასხვა ინტენსივობით ტარდებოდა (აქტიურ პერიოდებში საშუალოდ 2 კვირაში ერთი შეხვედრა). შეხვედრები ჩატარდა ძირითადად თსუ-ს I და II კორპუსებში და მაღლივ კორპუსში.

შეხვედრების ორგანიზებას ყველაზე აქტიურად ითხოვდა საბანკო-მიკროსაფინანსო და სადაზღვევო სფერო (2016 წელს სტუდენტებს არაერთხელ შეხვდა საქართველოს ბანკი, ლიბერთი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ასევე მსხვილი სადაზღვევო კომპანიები, ფინანსური, იურიდიული და სხვა ტიპის მომსახურების კომპანიები).

2016 წლის მაისში უნივერსიტეტში ჩატარდა მასშტაბური დასაქმების ფორუმი. ღონისძიების მაქსიმალურად ეფექტურად ორგანიზების მიზნით ცენტრმა ჩაატარა წინასწარი გამოკითხვა იმ დამსაქმებელთა გამოსავლენად, რომლებთან შეხვედრაც ყველაზე მეტად აინტერესებდათ სტუდენტებს და მოიწვია ყველა ის დამსაქმებელი, რომლებიც მათ დაასახელეს. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სფეროს დამსაქმებლებმა. წარმოდგენილი იყო შემდეგი სფეროები: საბანკო-საფინანსო, სადაზღვევო, სამედიცინო (როგორც დისტრიბუცია, ასევე კლინიკები და კვლევითი დაწესებულებები), სამრეწველო,

ტურიზმი და მომსახურება, იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია, სოციალური კვლევები, ვაჭრობა, დისტრიბუცია, ნავთობ პროდუქტების მოპოვება და დისტრიბუცია და სხვა ასევე აღსანიშნავია, რომ ფორუმს ესწრებოდნენ სამინისტროები მათდამი დაქვემდებარებულ სსიპ-ებთან ერთად. მთლიანობაში ფორუმში მონაწილე საჯარო და კერძო დამსაქმებელთა რიცხვმა 60-ს გადააჭარბა (მონაწილეთა სია ერთვის წინამდებარე ანგარიშს) ფორუმში რამდენიმე ათასმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა და ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა.

2016 წლის მანძილზე ცენტრი ჩართული იყო საერთაშორისო პროექტებში. კერძოდ: ERASMUS+ (TEMPUS) 2 პროექტში უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტთან ერთად: PACT და PICASA (პირველი ეხება პროექტის წერის უნარების განვითარებას უნივერსიტეტის სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის და მეორე - უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობასა და გაღრმავებას). PACT-ის ფარგლებში ცენტრმა ჩაატარა საპილოტე ტრენინგები პროექტის წერის უნარებში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს დოქტორანტებმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა.

სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრმა პროექტ CASEDE-ს ფარგლებში შექმნილი, კარიერული განათლების სახელმძღვანელოს ქართული ვერსია გაუზიარა სოციალური მომსახურების სააგენტოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზდრობის სამინისტროს რეგიონული სამსახურებისა და პროფესიული კოლეჯების კარიერულ მენეჯერებს, ასევე სხვა ქართული უნივერსიტეტების კარიერული მომსახურების ცენტრებს.

ცენტრმა კოორდინირება გაუწია სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ორ ნაკადს (გაზაფხულსა და შემოდგომაზე). ორივე ნაკადში განაცხადი შეავსო ექვსასზე მეტმა სტუდენტმა. ცენტრმა მოამზადა საგანგებო ელექტრონული ბაზა, რომელიც გადაეგზავნა საჯარო სამსახურის ბიუროს.

უნივერსიტეტების საერთაშორისო რანჟირების სისტემისთვის ჩატარდა გამოკითხვა (ელ. ფოსტის და ფბ-ის საშუალებით). გამოკითხვა 2014 წლის კურსდამთავრებულები და ყველა აკადემიური საფეხურის სტუდენტი. შედეგები დაჯამდა და გადაეგზავნა შესაბამის სამსახურს.

2016 წლის მანძილზე გაფორმდა თანამშრომლობების მემორანდუმები შემდეგ კომპანიებთან: „ირაო“, „აისი ჯგუფი“, „პალიტრა“, „ჯი პი აი ჰოლდინგი, ალდაგი“, „კორტესი გიდაგო“.

უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ფბ გვერდს 7880 მომხმარებელი ჰყავს. გვერდი აზიარებს ინფორმაციას სტაჟირების, ვაკანსიების, სასწავლო სტიპენდიების შესახებ, პასუხობს როგორც სტუდენტების, ასევე დამსაქმებლების შეკითხვებს. გარდა ამისა, თემატიკის მიხედვით, სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია უნივერსიტეტის სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებითაც: უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდი, ფაკულტეტების საკომუნიკაციო საშუალებები, ელ-ფოსტა, sms.tsu.ge, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და სხვა.

2016 წლის მანძილზე, ცენტრმა წარმატებით ითანამშრომლა გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის (FAO) თავ-ოფისთან (რომი), რომელმაც მოგვმართა თხოვნით, დაგვეკავშირებინა მათთან ქალი კანდიდატები IT მიმართულების მაგისტრატურის საფეხურიდან. ინიციატივა ითვალისწინებდა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ახალგაზრდა ქალი პროფესიონალების მოტივირებასა და ხელშეწყობას.

ინდივიდუალურად დაგუკავშირდით ყველა კანდიდატს, რომელიც აკმაყოფილებდა მითითებულ მოთხოვნებს, რის შემდეგაც FAO-მ სკაიპ-ინტერვიუების საშუალებით შეარჩია

2 სტუდენტი პირველ ნაკადში და 1 სტუდენტი მეორე ნაკადში. პირველმა ორმა გოგონამ უკვე წარმატებით დაასრულა რომში, FAO-ს თავ-ოფისის IT დეპარტამენტში, ანაზღაურებული 6 თვიანი სტაჟირება, მესამე კი, თებერვლის თვეში გაემგზავრა რომში 11 თვიანი კონტრაქტით.

იმისთვის, რომ ცენტრმა სრულფასოვნად შეასრულოს საკუთარი მოვალეობები, აუცილებელია ადამიანური რესურსის დამატება. ძალიან მნიშვნელოვანია რეგულარული ვიზიტების გაგრძელება ფაკულტეტებზე, კვლევითი სამუშაოს გააქტიურება, ახალი პროექტების განვითარება ადგილობრივ თუ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, რაც ამჟამინდელ პირობებში ძალიან ძნელია.

2016 წელს უნივერსიტეტის **გამომცემლობამ** მიიღო, რედაქტირება გაუკეთა, დიზაინი შეიმუშავა და დაბეჭდა 157 დასახელების სახელმძღვანელო, მონოგრაფია, კრებული, ლექსიკონი, ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა.

ამასთანავე, მთელი წლის მანძილზე ამზადებდა და ბეჭდავდა პოსტერებს, მოსაწვევ ბარათებს, ბუკლეტებს, ფლაერებს, სავიზიტო ბარათებს, სერტიფიკატებს და აფიშებს, სატიტულო ფურცლებს (ბლანკებს) უნივერსიტეტის მიმდინარე საქმიანობისათვის.

აგრძელებდა მოლაპარაკებებს უცხოურ გამომცემლობებთან მთარგმნელობითი პროექტით გათვალისწინებული წიგნების ბეჭდვის უფლებების მოსაპოვებლად (ან გასაგრძელებლად) და ამ პროექტით შემოსულ წიგნებზე მუშაობას მათ დასასტამბად.

აქტიურად შეუდგა მუშაობას გამოცემების ელექტრონული სახით მომზადებისათვის. გამომცემლობის ვებგვერდზე შესაძლებელია ელექტრონული გამოცემების, სამეცნიერო ნაშრომების, დისერტაციების ნახვა (იხ. [http://press.tsu.ge/ge/net\\_editions/zn8n\\_d-fahudyzs2/](http://press.tsu.ge/ge/net_editions/zn8n_d-fahudyzs2/)).

უნივერსიტეტის **ბიბლიოთეკაში** სისტემატურად მიმდინარეობს წიგნადი ფონდის შევსება-განახლება სამეცნიერო, სასწავლო და მხატვრული ლიტერატურით, ასევე პერიოდული გამოცემებით. ფონდების შევსებისას დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებას. ბიბლიოთეკის მიზანია მოემსახუროს ყველა კატეგორიის მკითხველს: სტუდენტებს, მეცნიერ-მკვლევარებს, აკადემიურ პერსონალს, უნივერსიტეტის სტუმრებსა და ა.შ.

2016 წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა, აღირიცხა და დამუშავდა 7372 დასახელების 13 397 საბიბლიოთეკო ერთეული. აქედან 1527 დასახელების 3 386 წიგნი შეძენილია ტენდერით. წინა წელთან შედარებით 1583 დასახელებით მეტი (1915 წელს შემოვიდა 5 789 დასახელების 12634 საბიბლიოთეკო ერთეული, მათ შორის შეძენილი წიგნების რაოდენობა იყო 1587 დასახელების 3120 ერთეული).

ყოველწლიურად უნივერსიტეტი ბიუჯეტში ითვალისწინებს წიგნების შესაძენ თანხას. 2016 წლის ბიუჯეტით წიგნების შესაძენად გათვალისწინებული იყო სულ 204 000,0 ლარი (წინა წელთან შედარებით 4 ათასი ლარით მეტი), საიდანაც დაიხარჯა 187 983,35 ლარი. (შეძენილ იქნა 1527 დასახელების 3386 ერთეული). აუთვისებელი დარჩა 16016 ლარი, აქედან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 8 793,75 ლარი, განათლებისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 4 977 ლარი (შესაძენად გადმოცემული ქართული წიგნების ბაზარზე არ არსებობის გამო მომწოდებლებმა ვერ უზრუნველყვეს მათი შემოტანა), თხოვნის მიუხედავად, აღნიშნულმა ფაკულტეტებმა არ ისურვეს

ცენტრალური ბიბლიოთეკისთვის თანხის გადმოცემა წიგნების შესაძენად, იურიდიულმა ფაკულტეტმა კი ვერ მოასწრო შესაძენი წიგნების (უცხოენოვანი) სიის მოწოდება და ასათვისებელი დარჩა 2 004 ლარი.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმატებით თანამშრომლობს საქართველოს ცნობილ გამომცემლობებთან. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ბიბლიოთეკა რეგულარულად იღებს მათ მიერ დასტამბული წიგნების თითო ეგზემპლარს. 2016 წელს გამომცემლობებისგან საჩუქრად მივიღეთ 360 ერთეული.

დღემდე გრძელდება 1918 წლიდან დაწყებული ტრადიცია, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება ცნობილ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი კოლექციებით. 2016 წელს ბიბლიოთეკას კიდევ რამდენიმე კოლექცია შეემატა: თამაზ ჭილამის (594 ერთ.), გიორგი მელიქიშვილის (1 349 ერთ) და შალვა აბზიანიძის (482 ერთ). შემომწირველებთან 393 ინდივიდუალური ხელშეკრულება გაფორმდა.

უნივერსალური და მუდმივად განახლებადია ბიბლიოთეკის ფონდი, საიდანაც მკითხველებს წიგნების გატანა გარკვეული ვადით შეუძლიათ. 2016 წელს ბიბლიოთეკაში დამატებით ჩაეწერა 785 მკითხველი, გაიცა 4 733 წიგნი, დაბრუნდა – 4 713.

2011 წელს დაწყებული წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის პროცესი დღესაც გრძელდება (საბიბლიოთეკო ერთეულები ითვლება შტრიხკოდების მეშვეობით). 2016 წელს, მიმდინარე ინვენტარიზაციის ფარგლებში, შტრიხკოდი მიენიჭა 73 117 საბიბლიოთეკო დოკუმენტს (შარშანდელთან შედარებით 10 313–ით მეტი, 2015 წელს მიმდინარე ინვენტარიზაციის ფარგლებში შტრიხკოდი მიენიჭა 62 804 საბიბლიოთეკო დოკუმენტს). სულ შტრიხკოდი მინიჭებული აქვს 1 727 319 საბიბლიოთეკო ერთეულს.

ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია აქტიურ მონაწილეობას იღებს საბიბლიოთეკო სამართლებრივი დოკუმენტების შექმნაში. 2016 წელს ბიბლიოთეკის ინიციატივით შემუშავდა 85 ნორმატიული დოკუმენტის (რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებების ) პროექტი.

უკვე მეოთხე წელია წარმატებით მიმდინარეობს ბიბლიოთეკაში დაცული ფონდების ელექტრონულ კატალოგში შეტანა, რაც ბიბლიოთეკის მომხმარებელს საშუალებას აძლევს ადვილად მოიძიოს მისთვის საჭირო მასალა ელექტრონულად და იხილოს, თუ რა სახის საბიბლიოთეკო დოკუმენტებია დაცული ჩვენს ფონდებში. 2016 წელს ელექტრონულ კატალოგში შევიდა 123 120 საბიბლიოთეკო დოკუმენტი და 70 218 ელექტრონული ბარათი. სულ ელექტრონულ კატალოგში შეტანილია 217 079 ჩანაწერი. (შარშანდელთან შედარებით 29 167 საბიბლიოთეკო დოკუმენტით მეტი. 2015 წელს ელექტრონულ კატალოგში შევიდა 93 959 – მდე საბიბლიოთეკო დოკუმენტი და 50 109 ელექტრონული ბარათი.

სტუდენტებისთვის სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის მიზნით ბიბლიოთეკაში ასევე ხორციელდება ლიტერატურის გაციფრება და ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ატვირთვა. დიგიტალიზაციის ჯგუფის მიერ დასკანერდა საბიბლიოთეკო დოკუმენტების 288 869 გვერდი. საავტორო უფლებების დამცავი პროგრამის ამუშავების შემდეგ ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე 2016 წელს განთავსდა ციფრული ბიბლიოთეკა (ebooks.tsu.ge), სადაც 2 057 საბიბლიოთეკო დოკუმენტის ელექტრონული ვერსიაა ატვირთული.



დაგეგმილია ელექტრონული რესურსების ვებ-საიტის [eBooks.tsu.ge](http://eBooks.tsu.ge) შემდგომი განვითარება და შევსება, რაც გულისხმობს მისი ანტივირუსული მდგრადობის უზრუნველყოფას და დოკუმენტების (წიგნები, აუდიოფაილები, დისერტაციები და ფოტოსურათები) დასკანერებული ასლების ატვირთვას. აგრეთვე მიმდინარეობს ელექტრონული კატალოგის შესაბამისი რესურსების გადაყვანა [eBooks.tsu.ge](http://eBooks.tsu.ge) ვებ-საიტზე.

სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ინფორმაციული უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით აქტიურად გამოიყენება სოციალური მედიის რესურსები.

დასკანერებული დოკუმენტების ციფრული არქივის საიმედო დაცვის მიზნით მიმდინარეობს CD დისკებზე გადატანა.

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე (BioOne, Oxford Online dictionary, Econlit, EbscoHost, New England Journal of Medicine, OECD-iLibrary, Cambridge Journals Collection, Jstory) წვდომა, როგორც უნივერსიტეტის შიდა, ასევე გარე სივრციდან. ამისთვის გაფორმდა ხელშეკრულება სამეცნიერო ბაზების მომწოდებლებთან. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით უნივერსიტეტი კვლავ სარგებლობს Scopus მონაცემთა ბაზებით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რეგულარულად მიმდინარეობს საბიბლიოთეკო დოკუმენტების რესტავრაცია. 2016 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა - 344 საბიბლიოთეკო ერთეულს. რესტავრაცია ჩაუტარდა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921წწ.)“ ცენტრ-ბიბლიოთეკის 45 საარქივო დოკუმენტს. დეზინფექცია ჩაუტარდა და გაიწმინდა ობის სოკოსგან დაზიანებული 64 საბიბლიოთეკო დოკუმენტი. ამოიბეჭდა, აიკინმა, ყდაში ჩაისვა და საბიბლიოთეკო დოკუმენტად დამზადდა ფაკულტეტებიდან გადმოცემული 412 ერთეული წიგნი. აგრეთვე 38 ბლოკად აიკინმა და ყდაში ჩაისვა გაზეთები. რესტავრაცია ჩაუტარდა და მუყაოს საქალაქდები გაუკეთდა გ.მელიქიშვილის კოლექციიდან 210 ამონარიდს.

2016 წლის აპრილში, ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილესთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიხსნა ახალი საგამოფენო დარბაზი ივანე ჯავახიშვილის შრომების გამოფენით. ექსპოზიცია ივანე ჯავახიშვილის ავტორობითა და რედაქტორობით 1899-2012 წლებში გამოქვეყნებული შრომების სრული სახით წარმოდგენის პირველი მცდელობა იყო.

2016 წლის ნოემბერში, ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გაიხსნა ექსპოზიცია სახელწოდებით - „ვეფხისტყაოსანი“ – ბიბლიოთეკაში დაცული გამოცემების გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრო კორეის ელჩი საქართველოში კიმ ინ ჰვანი, რომელმაც ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ კორეული თარგმანი.

ჩატარდა არაერთი ახალი წიგნის პრეზენტაცია და ცნობილი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებითი საღამოები. მათ შორის აღსანიშნავია: მედეა ზაალიშვილის შემოქმედებითი საღამო, ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებითი საღამო, შეხვედრა წინანდლის პრემიის ლაურეატებთან: სალომე ბენიძესთან, თამარ სუბელიანთან, ლია ლიქოკელთან. მოეწყო მათი ახალი წიგნების პრეზენტაციები. გაიმართა პოეტ გაგა ნახუცრიშვილის პოეზიის საღამო და მისი ახალი წიგნის პრეზენტაცია. მწერალმა და მთარგმნელმა ანა კორძაია-სამადაშვილმა ზამთრის საჯარო ლექციების ფარგლებში წაიკითხა ლექცია: „ქალი მწერლები მსოფლიო ლიტერატურაში“. ამავე საჯარო ლექციების ფარგლებში გაიმართა

შეხვედრა ცნობილი ამერიკელი მწერლის, ჯოან როულინგის ნაწარმოების „ჰარი პოტერის“ ქართველ მთარგმნელებთან (მანანა ანთაძე, ქეთევან ყანჩაშვილი, დავით გაბუნია).

2016 წლიდან ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს პროექტი: „ერთი დღე უნივერსიტეტში“, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა დღიურების ჩაწერას ბიბლიოთეკის ხმის ჩამწერი სტუდიის მეშვეობით. პროექტის მიზანია, ჩვენი ქვეყნისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების უახლესი ისტორიის ზეპირი ისტორიების შექმნა და შენახვა, როგორც აუდიო, ისე წერილობითი სახით. 2016 წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩაიწერა 86 რესპოდენტი. დამუშავდა მათი აუდიო და ვიდეო ჩანაწერები.

2016 წელს, ივანე ჯავახიშვილის იუბილესთან დაკავშირებით, პრეზიდენტის ფონდის მხარდაჭერით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ დასაბეჭდად მოამზადა და გამოსცა ფოტოალბომი „სურათები ივანე ჯავახიშვილის საოჯახო ალბომიდან“. 15 აპრილს კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში, გაიმართა აღნიშნული გამოცემის პრეზენტაცია.

ბიბლიოთეკამ მოამზადა და გამოსცა ბიბლიოთეკის გზამკვლევი, აგრეთვე „პირველი ლექციის“ მეორე წიგნი; აკაკი შანიძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი (რომელიც მიემდვანა აკაკი შანიძის იუბილეს), ბიბლიოთეკაში დაცული ივანე ჯავახიშვილის შრომების აღწერილობა და ჩვენს ფონდებში არსებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემების კატალოგი.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პერიოდულად გამოსაცემად ამზადებს ფონდებში დაცული კოლექციების აღწერილობებს, ლიტერატურული აღმანახების საძიებლებს. 2016 წელს გამოიცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების ბიბლიოგრაფიული საძიებელი (199 –2010წწ.), გამოსაცემად მუშავდება საუნივერსიტეტო გაზეთის ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი (1927–1941წწ.) ანალიტიკურად დამუშავდა და ელექტრონულ კატალოგში შევიდა გაზეთის „თბილისის უნივერსიტეტი“ (1955–1961 წწ) 3 584 სტატია. საუნივერსიტეტო ჟურნალებიდან ელ. კატალოგისთვის დამუშავდა 1 386 სტატია.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას პერიოდული გამოცემების მდიდარი ფონდები აქვს. 2016 წელს ელექტრონულ კატალოგში 686 დასახელების 1872 ერთეული ჟურნალი აღირიცხა. დამუშავდა და ელექტრონულ კატალოგში აღირიცხა 216 ფოტოდოკუმენტი. ინტენსიურად მიმდინარეობს ბიბლიოთეკაში დაცული მიკროფირების შესწავლა–გაციფრების პროცესი.

ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ქართული და უცხოური იშვიათი გამოცემების უკეთესად წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით, ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს ხელუხლებელი, აღმოსავლური და საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდებიდან იშვიათი გამოცემების საცავში განთავსება – დამუშავება, 2016 წელს გადმოტანილ იქნა 14 800 ერთეული, სულ იშვიათ გამოცემათა საცავში განთავსებულია 39 625 ერთეული.

2016 წლის განმავლობაში, ბიბლიოთეკამ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით გამართა 7 საჯარო ლექცია, 5 გამოფენა და ერთი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია.

საბიბლიოთეკო საქმიანობის კუთხით გასული წლის განმავლობაში დამუშავდა, ანოტაციები მოუშადა და ელექტრონულ კატალოგში შეტანილ იქნა ცენტრში დაცული, მამია და ქრისტინე ბერიშვილების კოლექციაში არსებული, 1 150 დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტები უკვე ხელმისაწვდომია მკითხველისთვის; 2016 წელს დაიწყო დოკუმენტთა დიגיტალიზაციის პროცესი, უკვე მომზადებულია 250 დოკუმენტის ელექტრონული ასლი, რომლებიც აიტვირთება თსუ-ს ელექტრონული ბიბლიოთეკის საიტზე. ასევე დამუშავდა და ანოტაცია გაუკეთდა მიშელ რამიშვილის კოლექციაში არსებულ 1300-მდე ინგლისურ და ფრანგულენოვან დოკუმენტს.

2016 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ რამდენიმე პუბლიკაციის მომზადებაზე იმუშავა, კერძოდ:

2016 წლის მარტში გამოიცა ბროშურა, ბიბლიოთეკაში დაცული „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში“.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ერთად გამოიცა მცირე ზომის ბროშურა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრები და გენერალური შტაბის უფროსები“. ბიბლიოთეკის თანამშრომლები ქართველ ემიგრანტ ტიერი ბერიშვილთან ერთად თვეების განმავლობაში მუშაობდნენ წიგნზე - „ქართული სოციალ-დემოკრატი 1880-1953. ძირითადი ორიენტირები“, რომლის გამოცემაც 2017 წლის 26 მაისისთვისაა დაგეგმილი.

2016 წლის მიწურულს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა შეადგინეს ალბომის „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები საქართველოში“, რომელშიც გაერთიანებულია 1918 წლის 14-16 თებერვლის დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ მასალები. ალბომის მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოსაცემად ბიბლიოთეკამ ითანამშრომლა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ბიბლიოთეკა გასული წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედიის შედგენაზე. პროექტში ჩართული იყო 13 მკვლევარი, წლის ბოლოსათვის შედგენილი იქნა 225 სტატია. 2017 წელს მკვლევართა გაზრდილი გუნდით გაგრძელდება ენციკლოპედიაზე მუშაობა. ნაშრომის საბოლოო გამოცემა 2018 წლის მაისისთვისაა დაგეგმილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აერთიანებს რამდენიმე საფაკულტეტო ბიბლიოთეკას და სამ სამკითხველო დარბაზს, რომლითაც ყოველწლიურად ათასობით მკითხველი სარგებლობს. 2016 წელს იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა მოემსახურა -73 000-მდე მკითხველს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა -4200-მდე მკითხველს, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა -2000-მდე მკითხველს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბიბლიოთეკა -16900-მდე მკითხველს, შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი -106 500 მკითხველს, გრიგოლ წერეთლის სახელობის სამკითხველო დარბაზი - 3000 მკითხველს და სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზი -1500-მდე მკითხველს. სულ სამკითხველო დარბაზების მომსახურებით ისარგებლა 207 100 მკითხველმა.

უნარშეზღუდულ მკითხველთა საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით, ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს აუდიო-სტუდია, სადაც მუდმივად მზადდება მოთხოვნადი სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიები ჩვენივე სტუდენტების დახმარებით. აუდიო სტუდიაში გახმოვანდა 4 წიგნი (2 000 გვერდი).

2016 წელს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამოქმედდა საგანმანათლებლო-პროფესიული პროგრამა „ბიბლიოთეკარი“, რომლის ფარგლებში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბაზაზე, საბიბლიოთეკო საქმიანობისთვის მზადდება 15 სტუდენტი.

უნივერსიტეტის მუზეუმმა, რომელიც სხვადასხვა დარგის მუზეუმებს აერთიანებს შემდეგი სამუშაოები განახორციელა, კერძოდ: არქეოლოგიის მუზეუმი, აღირიცხა არქეოლოგიური მონაპოვარი (თია 1365 – 2116, ბრა 313-316, რკა – 62, მია 18 – მია – 25, თია 2117 -თია – 2127, მნა 64 – 69); აღსარიცხად მომზადდა ქარელის მუნიციპალიტეტის, სოფ. ურბნისში (32 ნივთი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფ. დერჩში (დაახ. 25 ნივთი), კასპის მუნიციპალიტეტში, ადგილ „მრგალი ჭალის“ ნამოსახლარის (დაახ. 50 ნივთი), ყვარლის მუნიციპალიტეტის, სოფ. ახალსოფელის (დაახლოებით 40 ნივთი), სვანეთის (250 ნივთი) გამოვლენილი მასალები; მუზეუმის თანამშრომლები მონაწილეობდნენ საველე არქეოლოგიურ ექსპედიციებში და ატარებდნენ ლექციებსა და სასწავლო-პრაქტიკულ სამუშაოებს სტუდენტებთან. თსუ ისტორიის მუზეუმი -აკად. გ. ახვლედიანის პირადი ფონდიდან აღირიცხა ხელნაწერი (ხი 2442-2581), ხის (ხე 46-47), ქვა და ლითონის (ქლ 421-446), ქსოვილის (ქს 92) ექსპონატები; მუზეუმს შეემატა შალვა ნუცუბიძის, იპოლიტე ვართაგავას მემორიალური საგნები და უნივერსიტეტის რექტორატისაგან გადმოცემული სუვენირები; უნივერსიტეტის ისტორიის მუზეუმის მასალებს სისტემატურად ეცნობოდა მკვლევარები და სტუდენტები; მუზეუმის მასალები სისტემატურად გამოიყენებოდა სხვადასხვა მემორიალური გამოფენების მოსაწყობად; გეოგრაფიის მუზეუმი, მუზეუმს შემოემატა პროფესორ ალექსანდრე ასლანიკასვილის პირადი მასალები, რომლის საფუძველზეც მომზადებულ იქნა გამოფენა; აკად. ალ.ჯავახიშვილის პირადი ფონდიდან აღირიცხა ხელნაწერი (ხგ-120-200), ნაბეჭდი (ნმგ 97-166), ფოტო (ნპგ 931-965) და სამეცნიერო-დამხმარე ფონდის (1-65) მასალები. უნდა აღინიშნოს, რომ აღიცილები ერთეულები გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ამ ციფრებიდან ჩანს, რადგანაც ზოგიერთი ერთგვაროვანი ნივთი ერთი ნომრით, მაგრამ სხვა ქვენომრებით აღირიცხება. მაგ. ნმგ 104 შედგება 82 ქვენომრისაგან; მოხდა 85 ერთეული ფოტოს სკანირება და შუსაზე დატანილი ფოტოების (700-მდე ერთეული) შეფუთვა და სათანადოდ ჩალაგება. პალეონტოლოგიის მუზეუმი გამოიცვალა პალეონტოლოგიური მასალების დაზიანებული ეტიკეტები; დაიწყო ექსპონატების აღრიცხვისთვის მასალების მომზადება; გასუფთავდა გარედან ჩამონადენი წყლის მიერ დაზიანებული კარადები და მასალები; მინერალოგიის მუზეუმი სამწუხაროდ მინერალოგიის მუზეუმის მთელი კოლექცია გადაეცა გეოლოგიის დეპარტამენტის ლაბორატორიას. თუმცა გარკვეული მუშაბა მაინც გრძელდება და უკვე მომზადებულია მასალები მოკლე მინერალოგიური ლექსიკონისათვის. ზოოლოგიის მუზეუმი, ექსპონატებს ჩაუტარდა ყოველწლიური დეზინსექცია-დეზინფექცია; მუზეუმის ექსპოზიციას რეგულარულად, ზოგჯერ ყოველდღე, ათვალიერებდა სკოლების მოსწავლეები, როგორც თბილისიდან (27 სკოლა), ისე რაიონებიდან (ქარელი, მარნეული, ფოთი, რუსთავი); მუზეუმის კოლექციების ბაზაზე გაწეულიქნა კონსულტაცია ვიქტორინა „სად, რა, როდის“ მონაწილეებისათვის და აგრეთვე ზამთრისა და ზაფხულის სკოლის „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“ მსმენელებისათვის; მუზეუმის ექსპონატები გამოფენილი იყო „ექსპო-

ჯორჯიაში“. ქართული ემიგრაციის მუზეუმი უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმში გაიმართა საერთაშორისო კონკურსი "ემიგრანტის წერილი 2016" ფინალისტთა დაჯილდოება და კრებულის წარდგინება (4 ივნისი). თსუ ემიგრაციის მუზეუმს ესტუმრა ემიგრაციაში მოღვაწე, ისტორიკოსი-იკონოგრაფი ანდრეი კორლიაკოვი რომელმაც საჩუქრად გადმოსცა ალბომი "რუსული ემიგრაცია 1917-1947 წწ" ემიგრაციის მუზეუმში გაიმართა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გამოფენა "შოთა რუსთაველი და ქართული ემიგრაცია"; "საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ევროპაში"; "შოთა რუსთაველი და ქართული ემიგრაცია"; მუზეუმი მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში, მუდმივად ურთიერთობს პრესასა და ტელევიზიასთან, ტარდება ექსკურსიები და მუზეუმს სტუმრობენ სტუდენტები, დოქტორანტები, უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები. მოეწყო შეხვედრა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის შთამომავლებთან. პარიზიდან ჩამოსულ მეცნიერსა და გამომცემელს ბატონ ანდრეი კორლიაკოვთან, ამერიკაში მცხოვრებ ქართველ-ებრაელ მხატვართან, ქალბატონ ცისანა ჯანაშვილთან. გამოსაცემად მოამზადა და გადასცა უნივერსიტეტის გამომცემლობას სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე-სიცრუისა"-ს მიხაკო წერეთლისეული გერმანული თარგმანი მ.წერეთლისა და ზ.ავალიშვილის წინასიტყვაობებით. ვაჟა-ფშაველას მემორიალური მუზეუმი, სრულად აღირიცხა ვაჟა-ფშაველას მუზეუმში დაცული მხატვრული ნამუშევრები და ნაბეჭდი მასალები; სისტემატურად ტარდებოდა ლექცია-საუბრები ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებზე სტუდენტებისა და მოსწავლეთათვის.

მუზეუმის დროებითი გამოფენების დარბაზში მოეწყო შემდეგი გამოფენები: "იდუმალი მიწისქვეშა სამყარო" უნივერსიტეტის დოქტორანტის ლაშა ასანიძის ფოტოგამოფენა; "ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა"; კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულნი (კირიონ სამაგლიშვილი, ლეონიდე ოქროპირიძე, კალსტრატე ცინცაძე, კორნელი კეკელიძე); „უნივერსიტეტის ქალთა ნამუშევრების გამოფენა“; "ანთიმოზ ივერიელი და ევროპული განმანათლებლობა"; „ივანე ჯავახიშვილი და სამართალი ფოტო-დოკუმენტური გამოფენა; ხელნაწერი რუკების გამოფენა. მიემღვნა ალექსანდრე ასლანიკაშვილის 100 წლის იუბილეს; ივანე ჯავახიშვილი და ევროპული საგანმანათლებლო პრინციპების დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1918-1926 წლებში; ბულგარული ხალხური სამოსისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა; უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა; ანდრია რაზმადის ცხოვრება და მოღვაწეობა. ფოტო-დოკუმენტური გამოფენა. ამ გამოფენებისათვის მომზადდა და გამოიცა შესაბამისი საგამოფენო მეგზურები.

## II. რესურსების მართვა

2016 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი ტრადიციულად ინტენსიურად საქმიანობდა ფინანსების მართვის, გეგმების შედგენა- შესრულების ფინანსური აღრიცხვა ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიმართულებით, კერძოდ თსუ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები შემუშავდა საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, ასევე, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან წარმოდგენილი მონაცემების დამუშავების, მათთან კონსულტაციებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ბიუჯეტის პროექტი, დროულად წარედგინა თსუ აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს, რაც 2015 წლის 30 დეკემბერს დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით (ოქმი#7 30,12,2015 წელი).

თსუ 2016 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა შეადგინა 72 052 799 ლარი და 2015 წლის გარდამავალი ნაშთის ჩათვლით (ნაშთი-19 366 585 ლარი, მათ შორის; ეკონომიკური შემოსავლების 10 482 647 ლარი, ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტების- 4 327 195 ლარი, საერთაშორისო გრანტების 1 320 427 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების 3 236 316 ლარი) განისაზღვრა 91 419 384 ლარით. მათ შორის; ა) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები-50 996 282 ლარი, ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა-11 003 819 ლარი, გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული „სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს“-1 010 850 ლარი და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან „ზვიად გამსახურდიას სახელობის“ სტიპენდია-10000 ლარი, დ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების და მოდულური პროგრამების განსახორციელებლად“ - 1 338 401 ლარი, ე) პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან- 314 780 ლარი, ვ) ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები- 6 161 805 ლარი და ზ) საერთაშორისო გრანტები - 1 216 862 ლარი.

2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა სულ შეადგინა 79 663 205 ლარი. მათ შორის: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით-36 061 627 ლარი; „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ -21 197 921 ლარი; „მივლინებები“ 1 246 966 ლარი; „ოფისის ხარჯები“- 5 603 132 ლარი; „წარმომადგენლობითი ხარჯი“ 787 514 ლარი; „კვების ხარჯები“-717 ლარი; სამედიცინო ხარჯები-12 778 ლარი; „რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი“ - 84 467 ლარი; „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი“-290 766 ლარი; „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი“ 956 778 ლარი; „სუბსიდიები“-1 242 730 „გრანტები“- 149 629 ლარი; „სხვა ხარჯები“- 4 532 724 ლარი; „არაფინანსური აქტივები“- 7 268 205 ლარი, „ვალდებულებები“-34 072 ლარი.

2016 წლის გადასახდელებში, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ფარგლებში, სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა

შემოსავლებით გაწეულმა გადასახდელებმა შეადგინა -54 396 090 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის -11 003 818 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული „სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს“-1 010 850 ლარი და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან „ზვიად გამსახურდიას სახელობის“ სტიპენდიის 10000 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების და მოდულური პროგრამების განსახორციელებლად“ - 4 516 301 ლარი; პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის- 314 780; ეროვნული სამეცნიერო ფონდის -6 321 344 ლარი და საერთაშორისო გრანტების -2 090 022 ლარი .

2016 წელს თსუ ეკონომიკური შემოსავლებიდან შეძენილია 374 670 ლარის კომპიუტერული ტექნიკა, რაც 70345 ლარით მეტია 2015 წელთან შედარებით; 261716 ლარის საოფისე ავეჯი, 116701 ლარით მეტი; შესრულებულია სულ 4 867 865 ლარის ღირებულების რემონტი (მათ შორის 498 330 ლარის ეკონომიკური შემოსავლებიდან), რაც 3487078 ლარით აღემატება 2015 წლის მაჩვენებლებს და ა.შ.

2016 წელს, 2015 წელთან შედარებით თსუ ეკონომიკური შემოსავლებიდან მივლინების ხარჯები შემცირებულია 138 535 ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯები 321 753 ლარით.

შეუფერხებლად ფინანსდებოდა სხვადასხვა საუნივერსიტეტო ღონისძიებები. მოწინავე სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ 150 ლარიანი სახელმწიფო სტიპენდიით. სემესტრულად 715-667 წარჩინებულ სტუდენტზე გაიცა სახელმწიფო სტიპენდია (1 010 850 ლარი). გარდა ამისა, თსუ ეკონომიკური შემოსავლებიდან გაცემულია 53 377 ლარის სტიპენდია. ასევე, საუნივერსიტეტო დაფინანსებიდან 650 000 ლარის ფარგლებში დაფინანსდა 854 მაღალი აკადემიური შედეგების მქონე ბაკალავრიატის და მაგისტრატურის წარჩინებული სტუდენტები. სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად დაფინანსდა 308 სტუდენტი, საერთო თანხით 276 658 ლარი. 2016-2017 სასწავლო წელს დარეგისტრირებული 910 დოქტორანტიდან სწავლის გადასახადის შეღავათი გაეწია 511 დოქტორანტს (429 355 ლარის ფარგლებში) და უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული იქნა ასევე დოქტორანტების მნიშვნელოვანი ნაწილიც. გარდა აღნიშნულისა, თითოეულ ფაკულტეტზე, ასი პროცენტით დაფინანსდა ხუთ-ხუთი წარჩინებული დოქტორანტის სწავლის საფასური.

შეფერხებების გარეშე ფინანსდებოდა: ლექციების წასაკითხად უცხოეთიდან მოწვეული აკადემიური პერსონალის (102300 ლარი); რეკტივების, ქიმიკატების და სხვა მასალების (48000 ლარი); გამომცემლობის-სასტამბო (292656 ლარი); სასწავლო პრაქტიკების და სამეცნიერო ექსპედიციების (114127 ლარი); წიგნადი ფონდის შესაძენად საჭირო (187 940 ლარი); რიდერების, წიგნების რედაქტირებისა და თარგმნის ხარჯები (383620 ლარი); სამეცნიერო მიზნობრივი კვლევითი საქმიანობის (450000 ლარი); უნივერსიტეტის ძალებით სასადაილოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დროულად იქნა წარდგენილი ინფორმაცია საკუთარი შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის შესახებ, 2015 წლის ფაქტობრივი, 2016 წლის გეგმისა და 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლების მიხედვით. ასევე, დროულად იქნა წარდგენილი უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის 2015 წლის საკასო ხარჯის, 2016 წლის დამტკიცებული გეგმის, 2016 წლის ყოველთვიური საკასო ხარჯის და 2017 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები ცალკეული ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიხედვით.

ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მომსახურებას როგორც გასულ წლებში, ასევე 2016 წელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მუშავდებოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი საგრანტო პროექტების ხარჯთაღრიცხვები. პროექტების შესაბამისად, დამტკიცებული საგრანტო პროექტების ბიუჯეტის გათვალისწინებით ფორმდებოდა ხელშეკრულებები გრანტის ძირითად და დამხმარე პერსონალთან. 2016 წელს უნივერსიტეტში ერთდროულად მუშავდებოდა და დეპარტამენტი, მისი უშუალო ფუნქციური დატვირთვის გარდა, ემსახურებოდა შემოერთებული ინსტიტუტების ჩათვლით 261 საგრანტო პროექტს. მათ შორის: 223 - ეროვნული სამეცნიერო ფონდის, 38- საერთაშორისო გრანტის.

გარკვეული მუშაობა გაიწია, საგრანტო პროექტების, უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტების (14 ინსტიტუტის) და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, თსუ სტრუქტურული ერთეულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მივლინებების, ექსპედიციების ბრძანებების პროექტების მომზადებაზე, შესყიდვებისათვის საჭირო პროცედურების განსახორციელებაზე, მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშგებების მომზადებაზე, სათანადო ფონდებსა და დონორ ორგანიზაციებში წარდგენაზე. ხარჯვის მონიტორინგზე.

უნივერსიტეტში დროულად და შეუფერხებლად ხორციელდებოდა ხელფასებისა და სხვა ღონისძიებებისათვის საჭირო ფულადი სახსრების გაცემა. დიდი ყურადღება ექცეოდა დებიტორ-კრედიტორულ და ანგარიშვალდებულ პირებზე დავალიანებათა შემცირების საკითხის გადაჭრას, დროულად და ხარისხიანად ხდებოდა კვარტალური და წილური ბალანსების ჩაბარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტში მიმდინარე რთულ და შრომატევად ინვენტარიზაციის პროცესში. დეპარტამენტი ახორციელებდა კვარტარული, წლიური და სპეციალური გამოკვლევების სტატისტიკური ანგარიშგების მომზადებას და დროულად წარდგენას სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და სხვა უწყებებში.

2016 წელს უნივერსიტეტი ჩართული იყო სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, განხორციელების და ანგარიშგების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდებოდა დაფინანსების სამი წყაროდან – ეკონომიკური



შემოსავლებიდან, საბიუჯეტო დაფინანსებიდან და საგრანტო დაფინანსებიდან. წლის განმავლობაში სულ გამოცხადდა 322 (მ.შ. ორი ორეტაპიანი და 48 აუქციონის გარეშე) ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა 31%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით, რაც შესყიდვების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე, დადებითად უნდა შეფასდეს და მიანიშნებს იმაზე, რომ გაუმჯობესდა შესყიდვების დაგეგმვის და აგრეგირების ხარისხი. გაფორმდა და აიტვირთა ერთიან ელექტრონულ სისტემაში 1108 ხელშეკრულება. აქედან ტენდერით სახელმწიფო შესყიდვაზე 236 ხელშეკრულება, 843 ხელშეკრულება გამარტივებული, ხოლო 29 კონსოლიდირებული ტენდერით შესყიდვაზე. არ შედგა 46 ტენდერი, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებელზე და ძირითადად განპირობებული იყო მცირეფასიანი საგრანტო შესყიდვებით და ლარის კურსის მერყეობით. ფაქტობრივად წლის განმავლობაში, დაფინანსების ყველა წყაროდან განხორციელდა 13 106 041 ლარის ღირებულების საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, რაც წინა წელთან შედარებით 50%-ით მეტია და ძირითადად განპირობებულია ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაციით. აქედან, 9033370 ლარის შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერების საშუალებით, ხოლო 4072671 ლარის – გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. 170300 ლარის პროდუქციისა და მომსახურების გამარტივებული შესყიდვა განხორციელდა გადაუდებელი აუცილებლობით, რაც მთლიანი შესყიდვების 1.3%-ს არ აღემატება ეს მაჩვენებელიც წინა წლებთან შედარებით არსებითად გაუმჯობესდა. შესყიდვის ამ საშუალების გამოყენება ძირითადად განპირობებული იყო თსუ საკომუნიკაციო სისტემებში ავარიული დაზიანებების ლიკვიდაციისა და საგრანტო პროექტებისათვის აუცილებელი შესყიდვებით .

შესყიდვების დაფინანსების წყაროს მიხედვით, 6102091 ლარის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდა თსუ ეკონომიკური შემოსავლებიდან, 6137 544 ლარის - სახელმწიფო დაფინანსებით მიღებული სახსრებიდან, ხოლო 866 406 ლარის - გრანტების დაფინანსებით.

შესყიდვების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მეტად აქტუალურია საგრანტო პროექტებისათვის და კვლევითი ინსტიტუტებისათვის ტენდერებით შესყიდვების გამარტივების ან შეცვლის თემა. მაგალითად, უნივერსიტეტი წლების განმავლობაში სვამდა საკითხს სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის, ლაბორატორიული მოწყობილობის, ქიმიური რეაქტივების, კომპიუტერული პროგრამული პროდუქტის, ფარმაცევტული პროდუქტების და სხვა საშუალებების გამარტივებული შესყიდვის აუცილებლობის შესახებ, რაც საბოლოოდ დადებითად გადაწყდა. მაგრამ არის რეგულაციები რომლებიც საჭიროებენ საკანონმდებლო დონეზე კორექტირებას. უნივერსიტეტი, როგორც კონკრეტულ პრობლემებთან უშუალო შეხებაში მყოფი უმსხვილესი შემსყიდველი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, სწავლობს, ანალიზებს და საკანონმდებლო ინიციატივის წინადადების სახით წარუდგენს უფლებამოსილ ორგანოებს. ასე მოხდა მოცემულ შემთხვევაშიც და მისასალმებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გაიზიარა არსებული პრობლემები და ერთობლივად შეიმუშავა ცვლილების ორი ვარიანტი.

უნივერსიტეტმა, ინსტიტუტების ჩართულობით, დაწვრილებით განიხილა და ოფიციალურად დაუჭირა მხარი შემოთავაზებულ მეორე ვარიანტს – სამეცნიერო კვლევითი ერთეულები ჩამოყალიბდნენ როგორც დამოუკიდებელი შემსყიდველი ორგანიზაციები, სათანადო ნორმატიულ აქტებში შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით. მაგრამ საკითხი ჯერჯერობით საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის და ინსტიტუტები კვლავ რჩებიან პრობლემების წინაშე.

საგრანტო შესყიდვების პრობლემებზე საუბრისას გვერდს ვერ აუვლით საგრანტო პროექტების მენეჯმენტით გამოწვეულ ხარვეზებს. კერძოდ, ხშირია შესყიდვის განაცხადის დაგვიანებით წარმოდგენა, ტექნიკური დავალების არასრულყოფილება და უზუსტობა, მხოლოდ გადმოგზავნილი ინვოისების საფუძველზე ტექნიკური დავალების შედგენა, ბაზრის კვლევაში ჩართულობაზე უარის თქმა, განსხვავებული პარამეტრების მქონე ტექნიკის საჭიროების დასაბუთების აპელირება, დასკვნების დაგვიანებით წარმოდგენა და მრავალი სხვა, რაც ნეგატიურად მოქმედებს შესყიდვის ოპერატიულობაზე, რადგან მათი გასწორება მხოლოდ შესყიდვების კოორდინატორთა ძალისხმევით და მათი სამუშაო დროის ხარჯზე ხდება. ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად თსუ ადმინისტრაციის ინიციატივით, საფინანსო და საინფორმაციო დეპარტამენტების ჩართულობით, მიმდინარეობს შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების შიდა მოხმარების ელექტრონული სისტემის ეტაპობრივი დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს სტრუქტურულ ერთეულებს გამარტივებული პროცედურებით შედარებით მოკლე დროში შეისყიდონ მათთვის სასურველი საქონელი და მომსახურება. სისტემა ასევე გაუმარტივებს პროცედურებს და შესაბამისად დაუზოგავს დროს ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავების კუთხით, შესყიდვების განყოფილებასა და სატენდერო კომისიას. პირველ ეტაპზე იგეგმება სატესტო რეჟიმში პროგრამის გაშვება გრანტის მიმღებ სუბიექტებზე, ხოლო მოგვიანებით კი ჩაერთვება ყველა შემსყიდველი სტრუქტურული ერთეული. პროგრამა სრულად იქნება ადაპტირებული ახლად დანერგილ ელექტრონული საქმისწარმოების სისტემასთან.

2016 წელს უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფის მიერ საფინანსო-ეკონომიკური, იურიდიული და ტექნიკო-ტექნოლოგიური ინსპექტირება ჩაუტარდა 600-მდე ხელშეკრულების პირობის შესრულებას. ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა 50-ზე მეტი მომწოდებელი საერთო თანხით 10 195 ლარი. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი იქნა ხელშეკრულების პირობების დარღვევის 200-მდე შემთხვევა, რომელთა ოპერატიული გამოსწორება მოხერხდა კანონიერების სრული დაცვით.

გარდა აღნიშნულისა, დიდი მოცულობის სამუშაო იქნა გაწეული თსუ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის და თსუ აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოზე წარსადგენად. 2017 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებულ იქნა 2016 წლის 23 დეკემბერს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ (ოქმი #9 23,12,2016 წელი), აკადემიური საბჭოს წევრების მონაწილეობით.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს დეპარტამენტში შემოვიდა 21929 წერილი, რომლებიც სათანადოდაა რეაგირებული.

მატერიალური რესურსების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ, 2014 წლის ბოლოს, 2015 და 2016 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები და გამოიყო სახსრები: ელევთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის, თსუ-მე-3 და 2 სასწავლო კორპუსის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოებისათვის და უნივერსიტეტში მოდულური პროგრამების გახორციელების მიზნით საჭიროს ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის შესყიდვაზე. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე შესყიდვების განყოფილების მიერ გამოცხადებული ტენდერის თანახმად, გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, ძირითადი სამუშაოები შესრულებული იყო 2016 წელს და საკასო ხარჯიც 4 516 301 ლარი გაწეულ იქნა შესაბამისად 2016 წელს.

ასევე საანგარიშო წელს, მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსებში (მე-3 კორპუსი, ა. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი, ე.ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი, რ.აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტრო ქიმიის ინსტიტუტი, პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, თსუ ეროვნული ბიბლიოთეკა, ტაბახმელის იონოსფეროს კვლევის ლაბორატორია) ჩატარდა კაპიტალური და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. კერძოდ, გარემონტდა ოთახები, აუდიტორიები, კაბინეტები, ლაბორატორიები. უნივერსიტეტის ბაგების სტუდენტთა ქვემოთ მოეწყო სათავსო სამრეცხაოსათვის. უნივერსიტეტის ბიოლოგების კორპუსის ვივარიუმში დამონტაჟდა სავენტილაციო და გათბობის სისტემები. მომზადდა უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის გათბობის სისტემების ხარჯთაღრიცხვა და პროექტი. უნივერსიტეტის მე-2 და მე-5 კორპუსებში შეიცვალა გათბობის სტაციონარული ქვებები. რეაბილიტაცია ჩატარდა მაღლივის, ბიოლოგების, მე-3-ე, მე-8-ე და ბიბლიოთეკის კორპუსების გათბობის სისტემებს. შემოწმდა, შეკეთდა და განახლდა თსუ-ს კორპუსების ტრანსფორმატორები. დამონტაჟდა თსუ-ს სხვადასხვა კორპუსების ლაბორატორიებისთვის დამიწების კონტური. მოეწყო ველოსადგომები სხვადასხვა კორპუსების ტერიტორიებზე.

პირველი და მეორე კორპუსების რიგ ოთახებში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, კერძოდ გარემონტდა 11 ოთახი, 200კვ.მ ფართობზე დაგებულ იქნა ლამინირებული იატაკი. მოეწყო საერთო სარგებლობის სამრეცხაო, რისთვისაც შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა 10 სარეცხი მანქანა, გაყვანილ იქნა ელ.სადენები, შეკეთდა და შეიცვალა საკანალიზაციო და წყლის მილები.

დეპარტამენტის სხვადასხვა განყოფილებების თანამშრომლები ანხორციელებენ ყოველდღიურ შემოვლას თსუ-ს კორპუსებში და აღმოჩენილ დაზიანებებს აკეთებენ ადგილზე. ანალოგიური სამუშაოები ტარდებოდა შემოერთებულ ინსტიტუტებში. ჩატარდა შემდეგი სამეურნეო სამუშაოები, კერძოდ: მაღლივ კორპუსში აუდიტორიების მომზადება ეროვნული გამოცდებთან დაკავშირებით. მესამე კორპუსის დაცლა, სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, ყოფილი გეოლოგიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებული დამხმარე ნაგებობიდან გეოლოგების კუთვნილი ინვენტარის გადატანა ქიმიის

ინსტიტუტში. მაღლივის ბიბლიოთეკის შენობაში განთავსებული საგამოცდო ცენტრის დარბაზების დაცლა სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. მეორე კორპუსში განთავსებული ლაბორატორიების დაცლა, სანდიეგოს უნივერსიტეტისათვის ფართის გამონთავისუფლება და სარემონტოდ მომზადება. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის შენობის დაცლა სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. მორფოლოგიის ინსტიტუტის ფართის დაცლა სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. პირველ კორპუსში აუდიტორიებისა და საკონფერენციო დარბაზების მომზადება დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ეროვნულ ბიბლიოთეკაში სარემონტო ფართის გამონთავისუფლება და ინვენტარის გადაზიდვა. ბიოლოგების კორპუსში ჩამოსაწერი ტექნიკის და ავეჯის დასაწყობება. ისტორია-ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შენობის დაცლა და ინვენტარის გადაზიდვა ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალ შენობაში. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში ფართის გამონთავისუფლება, სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით და სხვა.

დასუფთავდა და მოწესრიგდა უნივერსიტეტის კორპუსების ეზოს ტერიტორიები. მოიჭრა, გაითიბა და გაიკრიჭა ხე-მცენარეები და ასევე გამწვანების მიზნით დარგულ იქნა ახალი ნერგები.

დეპარტამენტის ავტოფარეხის მიერ გაწეულ იქნა შემდეგი სატრანსპორტო მომსახურება: არქეოლოგიური სამუშაოებისას არქეოლოგებისა და პროფესორების ტრანსპორტირება საქართველოს მამტაბით, ასევე მოწვეული უცხოელი არქეოლოგების და პროფესორების აეროპორტში დახვედრა გაცილება. უნივერსიტეტის სპორტსმენების გადაადგილება სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად საქართველოს მამტაბით. უნივერსიტეტის ქალთა ანსამბლ გორდელას წევრების გადაადგილება საქართველოს მამტაბით კულტურული ღონისძიებებისას. ადმინისტრაციის ყველა, დეპარტამენტის მომსახურება გადაადგილება და ტვირთის გადატანა, ასევე უნივერსიტეტის უკლებლივ ყველა ფაკულტეტის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტრანსპორტთან დაკავშირებით. გარდა ამისა თბილისსა და საქართველოს სხვა რაიონების სკოლებში საბავშვო ლექციების ჩასატარებლად ლექტორების გადაადგილება.

უნივერსიტეტის ყველა კორპუსის და შემოერთებული ინსტიტუტების ყველა მოთხოვნის სატრანსპორტო უზრუნველყოფა. უნივერსიტეტის რედაქციის თანამშრომლების გადაადგილება ინტერვიუს ჩასაწერად და უნივერსიტეტის გაზეთების დარიგება ყველა კორპუსში. უნივერსიტეტის სტამბის თანამშრომლების გადაადგილება.

ბაგების სტუდენტალაქში 100-მდე სტუდენტს გაუფორმდა შესაბამისი ქირავნობის ხელშეკრულება; სტუდენტალაქის მთლიან ტერიტორიაზე სპეცტექნიკით გაწმენდილ იქნა ცენტრალური საკანალიზაციო ქსელი, რითიც აღმოიფხვრა წლების მანძილზე არსებული სისტემური პრობლემები. დასუფთავდა და მოწესრიგდა ეზოს ტერიტორიები და გამწვანების მიზნით დარგულ იქნა ახალი დეკორატიული ნერგები. ასევე აღსანიშნავია, რომ შემოღებულ იქნა სატრანსპორტო მომსახურების ახალი სტილი, რომელიც გულისხმობს სამგზავრო ბარათების შევსებას თითოეული მომსახურების გაწევისას, რაც ხელს უწყობს საწვავისა და შესაბამისი ხარჯების შემცირებას.

2016 წელს თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის სამტატო განრიგის მომზადება და დამტკიცება წარიმართა *პერსონალის მართვის* დეპარტამენტის

აქტიური მონაწილეობით, ფაკულტეტებთან კონსულტაციების საფუძველზე. თსუ აკადემიური, ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის სამტატო განრიგში, რამდენჯერმე, ფაკულტეტების და დეპარტამენტების ხელმძღვანელების დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები და თსუ წესდების შესაბამისად, მომზადდა და გამოიცა რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებები (N01/04 08.02.2016; N03/04 23.02.2016; N04/04 26.02.2016; N06/04 29.03.2016; N07/04 19.04.2016; N08/04 23.05.2016; N09/04 06.06.2016; N10/04 13.06.2016; N11/04 24.06.2016; N12/04 13.07.2016; N13/04 05.08.2016; N15/04 22.09.2016; N16/04 16.11.2016).

უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საერთაშორისო რეიტინგებში (გაეროს სტატისტიკური კითხვარი სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამუშაოების შესახებ, თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემა) ასახვის (წარმოჩენის) მიზნით დეპარტამენტის მიერ დამუშავდა უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაცემები და მიეწოდა დანიშნულებისამებრ დადგენილ ვადებში.

დამტკიცებული სამტატო განრიგისა და სახელშეკრულებო ვადების გათვალისწინებით, 2016 წლის განმავლობაში კონკურსი გამოცხადდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, იურიდიულ, მედიცინის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე. საკონკურსო წესით შერჩეულ აკადემიურ პერსონალთან სააუდიტორიო დატვირთვის გათვალისწინებით განისაზღვრა შრომის ანაზღაურების ოდენობა და გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები;

თსუ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 თებერვლის N7/2012 და 2013 წლის 4 ოქტომბრის N112/2013 დადგენილებების “ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ მოთხოვნების შესაბამისად, პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ, ორივე სემესტრის მიხედვით გაკონტროლდა ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო დატვირთვების შესაბამისობა პროფესორებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობებთან. დამუშავებული ინფორმაცია სასწავლო ცხრილებთან შედარების მიზნით მიეწოდა თსუ შიდა აუდიტის სამსახურს.

პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ გაწეული სამუშაო ასევე მოცულობითია ფაკულტეტებზე მოწვეულ პედაგოგებთან და თსუ დამხმარე პერსონალთან მიმართებაში. სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრების მიხედვით, ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო საათების გათვალისწინებით, მოწვეულ სპეციალისტებთან (პედაგოგებთან) გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები. 2016 წელს მომზადდა და გაფორმდა - 2586 ხელშეკრულება (მათ შორის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 553, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 262, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე (ტურიზის სკოლის ჩათვლით) - 426, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 446, იურიდიულ ფაკულტეტზე - 228, მედიცინის ფაკულტეტზე - 344, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 182, ენების შემსწავლელ ცენტრში - 139,

უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში 32, ასევე საგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებზე შესაბამისად 15 და 82). გასულ, 2015 წელთან შედარებით, ხელშეკრულებების მომზადებისას და ანალიზისას ცალკე გამოიყო პროფესიული პროგრამები. გარდა ამისა, წინა წლებისაგან განსხვავებით, არ გაერთიანდა სხვადასხვა ფაკულტეტზე ერთი და იგივე პირის მიერ წაკითხული საათები და გაფორმდა ცალკე-ცალკე ხელშეკრულება. ასეთი მიდგომა უკეთი აღმოჩნდა ანალიზისა და კონტროლისათვის და რაც მთავარია მოწვეულ პედაგოგებზე დროულად გაიცა ხელფასები (ინფორმაციის წარმოდგენა ფაკულტეტებიდან განხვავებულ ვადებში ხდება), თუმცა დეპარტამენტისათვის გაიზარდა სამუშაოს მოცულობა.

2016 წელს აღსანიშნავია პროფესიული პროგრამების ფარგლებში გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ზრდა. სულ გაფორმდა - 82 ხელშეკრულება. მათ შორის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე-34, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე - 29, მედიცინის ფაკულტეტზე -19.

2016 წელს თსუ ფაკულტეტებზე და სხვა სტრუქტურულ ერთეულებში, სამუშაოების მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, მოწვეულ დამხმარე პერსონალთან განხორციელდა ხელშეკრულებების გაფორმება ან განახლება, წლის განმავლობაში მომზადდა და გაფორმდა - 1192-ზე მეტი შრომითი ხელშეკრულება.

2016 წელს დეპარტამენტი ემსახურებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებების საფუძველზე (დადგენილება N 185, 09.07.2010; 210 27.07.2010; N 220 03.08.2010; 306 13.10.2010; 274 10.09.2010; 278 10.09.2010; 255 27,06,2011;), თსუ-სთან შემოერთებულ 14 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამეცნიერო და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალს (ხსენებულ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს - 1474).

ოპტიმიზაციის ღონისძიებების შემუშავების მიზნით დეტალურად გაანალიზდა თსუ პერსონალის შემადგენლობა 2012-2016 წლებში (ანალიზი წარედგინა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს). დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში ჩამოყალიბდა რამდენიმე რეკომენდაცია. კერძოდ: შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე (შტატგარეშე) პერსონალის ის ნაწილი, ვინც თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, საჭიროა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობისათვის, გადაყვანილი იქნან საშტატო ერთეულებზე. ხოლო სპეციალისტების მოწვევა მოხდეს საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრული სამუშაოსათვის, მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებით. ამასთან, თითოეული დეპარტამენტის ხელმძღვანელის მხრიდან უნდა დასაბუთდეს საჭირო პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა. ფაკულტეტების მონაწილეობით განხორციელდეს აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოების დასაბუთება (რასაკვირველია, არა შემცირების მიმართულებით), პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის თანამდებობრივი სარგოების ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრის მიზნით. მიზანშეწონილია თითოეულმა ფაკულტეტმა შეიმუშაოს კონკრეტული ინდიკატორები (პირველ ყოვლისა, მოწვეული პედაგოგის კვალიფიკაცია, სწავლების საფეხური, ჯგუფში/ნაკადში სტუდენტთა რაოდენობა და სხვა) რომელიც შეჯერდება, განზოგადდება და დასაბუთდება მოწვეული

პედაგოგის შრომის ანაზღაურების მატება (აღნიშნული არ გულისხმობს შრომის ანაზღაურების აბსოლუტურ გათანაბრებას).

2016 წლის დეკემბერში ფაქტობრივად დასრულდა მოსამზადებელი სამუშაოები საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე გადასასვლელად. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთან, სამუშაო რეჟიმში, განხილული იქნა თსუ-სათვის დამახასიათებელი სპეციფიური საკითხები. საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლის მოთხოვნების გათვალისწინებით, ტრენინგის ეტაპისათვის მომზადდა ინფორმაცია უნივერსიტეტის სტრუქტურის შესახებ, სისტემატიზებული და გადაცემული იქნა თანამშრომელთა ხელმოწერები და პირადი მონაცემები.

2016 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ დამუშავებული და რეაგირებულია 7200-მდე სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტი (წერილი) 2014 და 2015 წელთან შედარებით დეპარტამენტში შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა გაზრდილია შესაბამისად 120 და 150 ერთეულით. აღსანიშნავია, რომ შემოსული კორესპონდენციის განხილვას, დამუშავებას, შესაბამისი პასუხების მომზადებას და ადრესატისათვის მისი წარდგენის ორგანიზებას სამუშაო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ჭირდება.

დეპარტამენტის პასუხისმგებლობით განხორციელდა, ისევე როგორც გასულ წლებში, „საკადრო ბაზაში“ სახელშეკრულებო მონაცემების, მათ შორის ხელფასის შესახებ მონაცემების შეტანა და კონტროლი.

დეპარტამენტი ახორციელებდა უნივერსიტეტსა და სადაზღვევო კომპანია “ჯი პი აი ჰოლდინგ“-ს შორის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ცალკეული საკითხების კოორდინაციას (ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით მოცული იყო თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალი და მათი ოჯახის წევრები, სულ 2215 პირი (2016 წელს ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით წინა, 2015 წელთან შედარებით სარგებლობდა 604 პირით მეტი). ყოველთვიურად კონტროლდებოდა და ზუსტდებოდა დაზღვეული პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა, რის საფუძველზეც საფინანსო დეპარტამენტი ახდენდა თანხის გადარიცხვას. დეპარტამენტიდან გამოყოფილი საკონტაქტო პირი თავისი კომპენტენციის ფარგლებში კონსულტაციას უწევდა უნივერსიტეტის პერსონალს დაზღვევის დამატებით პირობებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფდა ინფორმაციის განთავსებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, განცხადებების მიღებას შესაბამისი დოკუმენტების თანხლებით და გადაცემას სადაზღვევო კომპანიისადმი (შევნიშნავთ, რომ 2015 და 2014 წლებთან შედარებით სადაზღვევო კომპანიასთან მუშაობამ დეპარტამენტის მხრიდან დიდი დრო და ძალისხმევა მოითხოვა. ხშირი იყო დაზღვეულთა მხრიდან უკმაყოფილება. საჭირო ხდებოდა შეხვედრების ორგანიზება, პრეტენზიის მქონე დაზღვეულის მიერ დასმული საკითხის დეტალური შესწავლა, დაკავშირება კომპანიის პასუხისმგებელ პირთან და ა.შ).

სისტემატიზებული იქნა თსუ პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებით თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი წინადადებები და პრეტენზიები, რომელიც მიეწოდა შესაბამის სამსახურს მიმდინარე წლის სატენდერო დოკუმენტაციის, კერძოდ, ტექნიკური დავალების მომზადებისათვის.

2016 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ მომზადდა მოქალაქეების და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია (დეპარტამენტში ამ მოთხოვნით შემოვიდა 15 წერილი) და მიეწოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

დეპარტამენტის მიერ მომზადდა უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის მიმდინარე და ჯამური სტატისტიკური ანგარიშები და მიეწოდა შესაბამის სტრუქტურებს დადგენილი ფორმებისა და წესის შესაბამისად;

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N 2019 დადგენილების „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პრაქტიკულად გამოქვეყნების შესახებ“ მოთხოვნის შესაბამისად, დეპარტამენტის მიერ მომზადდა და თსუ ვებ გვერდზე ვადების დაცვით განთავსდა ინფორმაცია საკადრო უზრუნველყოფის შესახებ, ინფორმაციის განახლება მიმდინარეობს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 23 დეკემბრის N162/02-01 ბრძანების შესაბამისად.

დეპარტამენტი მონაწილეობს უნივერსიტეტში შექმნილი სხვადასხვა კომისიების მუშაობაში: დეპარტამენტის ხელმძღვანელი არის სატენდერო კომისიის წევრი, ასევე ჩართულია საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობაში, მთავარი სპეციალისტი ხელმძღვანელობს მუდმივმოქმედ დისციპლინური პასუხისმგებლობის კომისიას, ასევე დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი არის ამავე კომისიის წევრი .

2016 წელს დეპარტამენტმა გარკვეული მუშაობა გაწია საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე შემოერთებული სასწავლო უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პერსონალის პირადი საქმეების, საშტატო განრიგების, სახელფასო სისტემების, პერსონალთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესწავლისა და დამუშავების მიმართულებით.

დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული აკადემიური, ადმინისტრაციულ-დამხმარე და სამეცნიერო პერსონალის მივლინებების შესახებ ბრძანების პროექტების მომზადებაში. ასევე ახორციელებს კონტროლს თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 09 ნოემბრის N38/04 ბრძანებით მოთხოვნილი სამივლინებო ანგარიშგების წერილობითი ფორმით წარმოდგენაზე.

დეპარტამენტი თსუ მასშტაბით კოორდინაციას უწევდა საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების გავლის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ სამუშაოებს. კერძოდ: სტაჟირების მიღებას, სტაჟირების პერიოდის განსაზღვრას, ხელმძღვანელების გამოყოფას, სტაჟირების პროცესის მიმდინარეობას, ინფორმაციის მიწოდებას საჯარო სამსახურის ბიუროსთან, სერთიფიკატების გაცემას (აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თსუ-სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში 2014-2016 წლებში სტაჟირება დაასრულა 101 პირმა)

მიმდინარე, 2017 წელს დეპარტამენტის მხრიდან, დებულებით გათვალისწინებული ყოველდღიური სამუშაოების გარდა, დაგეგმილია: პროფესიული განვითარების - პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავება-გაუმჯობესების მიმართულებით ტრენინგების გავლა შრომის სამართლის, ასევე კონფლიქტების მართვის მიმართულებით; ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის სამუშაოთა აღწერილობების დამუშავების და კრიტიკული შეფასების საფუძველზე (თითოეული სტრუქტურული ერთეულის



ხელმძღვანელთან ერთად) არსებული სამუშაო ადგილების მიზანშეწონილობის (ან მიზანშეუწონლობის) დასაბუთების და თსუ სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიმართულებით წინადადებების შემუშავების პროცესში ჩართვა.

უნივერსიტეტის პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებით თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი წინადადებების, პრეტენზიების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გაანალიზება და დეტალური ინფორმაციის მიწოდება სამუშაო ჯგუფისათვის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების მომზადების პროცესში გასათვალისწინებლად.

დეპარტამენტი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოთხოვნით ჩაერთვება საჭირო ინფორმაციის მომზადებას და დამუშავების პროცესში.

**საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის**, კომპიუტერული ტექნიკის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილება ახორციელებდა უნივერსიტეტის და სამეცნიერო ინსტიტუტების კომპიუტერული ტექნიკის აღრიცხვა მონიტორინგს და აგრეთვე კომპიუტერული პარკის განახლებას. ამ ამოცანების ფარგლებში წლის განმავლობაში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

მომზადდა საბეჭდი მოწყობილობების და კომპიუტერული ტექნიკის შეკეთების ტექნიკური დავალება, რის საშუალებითაც ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მეშვეობით ხდებოდა დაზიანებული ტექნიკის შეკეთება. სულ შეკეთებულ იქნა 70-ი საბეჭდი მოწყობილობა და კომპიუტერული ტექნიკა. გარდა ამისა ხელშეკრულებებით მუდმივი სერვისის და მონიტორინგის ქვეშ იყო შემდეგი ასლგადამღებები: კანცელარიის და ბიბლიოთეკის თითო XEROX-ის აპარატი, ბიბლიოთეკის KONIKA და საგამოცდო ცენტრის სამი ერთეული KYOCERA.

წლის განმავლობაში მომზადებულ იქნა შესასყიდი კომპიუტერული ტექნიკისა და საბეჭდი მოწყობილობების ტექნიკური დავალებები. სულ 120-მდე ტექნიკური დავალება; თსუ მედიცინის ფაკულტეტის და მორფოლოგიის ინსტიტუტისთვის ქსელური ინფრასტრუქტურის მონტაჟისათვის საჭირო მასალების ტექნიკური დავალება.

ასევე მომზადებულ იქნა თსუ მესამე კორპუსის ქსელური ინფრასტრუქტურის მონტაჟისათვის საჭირო მასალების ტექნიკური დავალება. უზრუნველყოფილი იქნა ბაგებში მდებარე სტუდენტთა ქალაქში დაგეგმილი კომპიუტერული რესურსცენტრისთვის 15 ერთეული კომპიუტერი და ინტერნეტ ქსელისათვის საჭირო მასალები. განხორციელდა თსუ მაღლივი კორპუსის შიდა ქსელის ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელზე გადაწყობა და მონტაჟი.

მომზადებულ იქნა პროფესიული განათლების ცენტრისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკური დავალება. სულ 230 ერთეული კომპიუტერისათვის და სხვა საოფისე-სასწავლო ტექნიკისათვის.

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შესყიდულ და საჭიროების მიხედვით გადანაწილებული იქნა 150 ერთეული დესკტოპ კომპიუტერი და 10 ერთეული ლეპტოპი. ასევე, შესყიდულ და საჭიროებების მიხედვით გადანაწილებული იქნა 40 ერთეული

მულტიფუნქციური პრინტერი და 45 ერთეული პროექტორი, რომელიც დამონტაჟებული იქნა სასწავლო აუდიტორიებში.

განხილულ იქნა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ფაკულტეტების და სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ მოთხოვნილი 413 განცხადება. აქედან შესრულებული იქნა 312, ხოლო დანარჩენი გათვალისწინებული იქნება მიმდინარე წელს.

მოძიებული და აღწერილი იქნა ექსპლოატაციიდან გამოსული საბეჭდი და ასლგადამღები მოწყობილობები, სულ 91 ერთეული, რომელიც შეფასებული იქნა აუდიტის მიერ და მომზადებული იქნა ჩასანაცვლებლად.

განსაზღვრული იქნა უნივერსიტეტის საინფარციო ტექნოლოგიების განვითარებისათვის 2017 წლის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციული ერთეულების მიერ მოთხოვნილი კომპიუტერული ტექნიკით მომარაგებას.

ელექტრონული სწავლების მიმართულებით მოხდა ათეულობით ელექტრონული კურსის დამატება მართვის პროგრამული სისტემის (MOODLE) გარემოში. აგრეთვე კონსულტაციები უტარდებოდა პედაგოგებს ელექტრონული კურსების მომზადებაში და მათ განთავსებაში მართვის პროგრამული სისტემის (MOODLE) გარემოში.

დისტანციური სწავლის ცენტრის კოორდინატორი იმყოფებოდა გერმანიაში, იენას უნივერსიტეტში ერასმუს +-ის „თანამშრომელთა მობილობის“ ფარგლებში. მოხდა გამოცდილების გაზიარება იმის შესახებ თუ რა გამოწვევები დგას ელექტრონული სწავლების სრულყოფილი დანერგვისათვის უნივერსიტეტებში; ცენტრის ორგანიზებით დაიგეგმა რამოდენიმე შეხვედრა ფაკულტეტებთან ელექტრონული სწავლების განვითარებაზე მსჯელობისთვის;

2016 წლის შემოდგომაზე ხელი მოეწერა ერასმუს + ის პროექტს “Educational for Drone (eDrone)” პროექტის ნომერი 574090-EPP-1-2016-1-IT-EPPKA2-CBHE-JP. მხარდაჭერას ვუწევთ და ვმონაწილეობთ რამოდენიმე საერთაშორისო სარანტო პროექტში, რომელიც დაკავშირებულია თსუ-ში ელექტრონული სწავლების განვითარება/დანერგვასთან. ესენია: 1. „Development of Embedded System Courses with implementation of Innovative Virtual approaches for integration of Research, Education and Production in UA, GE, AM“ 544091-TEMPUS-1-2013-1-BE-TEMPUS-JPCR. 2. „Establishment of Multidisciplinary Innovative Centres for the Development of Virtual Laboratories (MICVL) in Biology and Medicine“ 543802-TEMPUS-1-2013-1-UK-TEMPUS-JPHES.

2016 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ ერთად განვახორციელეთ პროექტი და შევქმენით დისტანციური კურსი - ტრენინგ მოდული „ქცევის მართვა“ პროექტის ფარგლებში შეიქმნა დისტანციური კურსების პორტალი - e-courses.tsu.ge;

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ტექნიკური მხარდაჭერის განყოფილებამ უზრუნველყო უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის მონიტორინგი და მათი გამართული მუშაობა;

კლიენტური აპარატული მოწყობილობების (პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, ნეობუქტები და პლანშეტები) მხარდაჭერა და წვრილმანი რემონტი, ქსელური

და სატელეფონო საკაბელო ინფრასტრუქტურის ინსტალაცია, რემონტი და მხარდაჭერა, კლიენტური საოპერაციო სისტემების მხარდაჭერა, საოფისე და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა; კომპიუტერული ქსელისა და სხვა საკაბელო ინფრასტრუქტურის ინსტალაცია-მონტაჟი;

უნივერსიტეტის საბეჭდი, ასლგადამღები და სკანირების მოწყობილობების მხარდაჭერა და მათი სახარჯი მასალების ინსტალაციის უზრუნველყოფა; უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის ტექნიკური კონსულტაცია ტელეფონის საშუალებით და დისტანციურად დახმარების აღმოჩენა.

2016 წელს ტექნიკური მხარდაჭერის განყოფილებაში ოფიციალურად დაფიქსირდა და შესრულდა 2051 პრობლემური საკითხი. მათ შორის იყო 315 პრიორიტეტული ამოცანა. კანცელარიიდან ოფიციალური წერილით შემოვიდა: 71 წერილი. შესრულდა ყველა.

ქსელის და სერვერული სისტემების თანამშრომელთა საქმიანობა 2016 წლის განმავლობაში ძირითადად დაკავშირებული იყო თსუ-ს IT-ინფრასტრუქტურის მართვის ცენტრალიზაციის, აგრეთვე სერვერული ინფრასტრუქტურის, კომპიუტერული ქსელისა და ინტერნეტის ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. წლის განმავლობაში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია თსუ-ს ქსელის ინტერნეტთან კავშირის ალტერნატიული ხაზის ასამოქმედებლად. სარეზერვო კავშირის მიზანია ინტერნეტით მომსახურების საიმედოობის ამაღლება. იგი აღარ არის დამოკიდებული ცალკეული ინტერნეტ სერვის-პროვაიდერების მომსახურებაზე.

მომზადებული ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდა ალტერნატიული ინტერნეტ-კავშირის შესყიდვა და გამართვა თსუ-ს პირველ კორპუსსა და ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში (მაღლივი კორპუსი). მიმდინარე ეტაპზე ინტერნეტის მიწოდება ორი დამოუკიდებელი არხით ხორციელდება.

მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია და განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტონომიური სისტემის ნომრის (ASN) მინიჭების პროცედურა ინტერნეტის ევროპისა და წინა აზიის რეგიონალური რეგისტრატორის (RIPE NCC) მხრიდან. მიმდინარე წლიდან თსუ ქსელური მარშრუტიზაციის მიხედვით ინტერნეტის დამოუკიდებელ სუბიექტს წარმოადგენს.

ინტერნეტის სერვის-პროვაიდერებთან თანამშრომლობით თსუ-ს ქსელურ ინფრასტრუქტურაში განხორციელდა BGP-პროტოკოლის იმპლემენტაცია, რამაც გაზარდა ინტერნეტის მოწოდების და აგრეთვე ინტერნეტიდან თსუ-ს ონლაინ-რესურსებზე წვდომის საიმედოობა.

გაფართოვდა უნივერსიტეტის მონაცემთა ცენტრის მთავარი კომუტატორის (Core Switch) შესაძლებლობები სპეციალური ლიცენზიის (Enterprise-based License) აქტივაციის შედეგად.

სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე, მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილებასთან ერთად განხორციელდა თსუ-ს მესამე კორპუსის სრული ინტეგრაცია უნივერსიტეტის ერთიან ქსელურ ინფრასტრუქტურაში. ნაცვლად არსებული Site-to-Site VPN-კავშირისა, მიმდინარე ეტაპზე მე-3 კორპუსი უნივერსიტეტის ქსელს პირდაპირი ოპტიკური ხაზით უკავშირდება, რაც ზრდის ქსელური ტრაფიკის მოცულობას და ხარისხს.

უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში შესრულდა ქსელური ინფრასტრუქტურის მოდიფიკაცია. დაიდგა და გაიმართა ახალი კომპუტატორები (სვიჩები), რითაც გაუმჯობესდა შიდა და გარე ქსელური ტრაფიკი მაღლივ კორპუსში.

დაიწყო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მონაცემთა ცენტრის ქსელური და სერვერული აპარატურით აღჭურვის პროცესი. განხორციელდა ქსელური მოწყობილობების ჩანაცვლება. გაიმართა Proxy-სერვერი, რაც ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის, თსუ-ს მაღლივი კორპუსის, „ბიოლოგების“ კორპუსის და ცენტრალური ბიბლიოთეკის მომხმარებლებს ინტერნეტთან მართული წვდომის უფრო ეფექტურად განხორციელების საშუალებას აძლევს.

შესრულდა უნივერსიტეტის ვაკის მონაცემთა ცენტრის სერვერთა მიგრაცია ვირტუალურ გარემოში. მონაცემთა ცენტრში მუშაობა შეწყვიტა ყველა მოძველებულმა, ე.წ. Stand-alone-სერვერებმა (მათ შორის, ვებ-ჰოსტებმა). სადღეისოდ მონაცემთა ცენტრი მთლიანად მონაცემთა კარადებში (რეკებში) მონტირებული სერვერების, მონაცემთა საცავებისა და ქსელური მოწყობილობების საფუძველზე მუშაობს.

მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილებასთან ერთად გაგრძელდა ახალი მომხმარებლების უნივერსიტეტის ერთიან დომენში ჩასმის პროცესი. დომენში ჩასმულ იქნა და ცენტრალური ანტივირუსი გაეშვა ასობით ახალ პერსონალურ კომპიუტერზე.

ამავე დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლების მიერ: ჯეოსელთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გაკეთდა სერვისი, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ჯეოსელის დაჯილდოებაში. დასრულების პროცესშია აუდიტორიების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება აუდიტორიების დაჯავშნა კონფერენციებისთვის, სააუდიტორიო მეცადინეობების აღრიცხვა, ლექტორების დასწრების აღრიცხვა.

მოხდა დოქტორანტურის ბაზი ინტეგრაცია lms.tsu.ge-ზე. შეიქმნა შემდეგი ვებ-გვერდები სხვადასხვა პროექტებისთვის. abet.tsu.ge conferenceeconomics.tsu.ge iclds.tsu.ge immunoschool.tsu.ge kartvelologi.tsu.ge sjss.tsu.ge tsuganvitarebisstrategia.tsu.ge winterschool.tsu.ge intranet.tsu.ge/grantebi/ biotech-school.tsu.ge ssp.tsu.ge emap.tsu.ge ogg.tsu.ge mnemosine.tsu.ge

**საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის** მიერ, 2016 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რაც აქტიურად შუქდებოდა მედიასაშუალებებით. გარდა ამისა მომზადდა საგაზეთო სტატიები, ასევე ტელე-რადიო სიუჟეტები და გადაცემები. მედია მონიტორინგის მონაცემებით, თსუ-ს შესახებ თვეში საშუალოდ 400-700 საინფორმაციო მასალა ვრცელდებოდა მედიაში.

2016 წელს მომზადდა 12 საგაზეთო ჩანართი (4 გვერდიანი) და თითოეული გავრცელდა 35000 ტირაჟით. შესაბამისად, ყოველთვიურად გაზეთს 35000-მდე ოჯახი კითხულობს. სულ გავრცელდა 420 000 ეგზემპლარი ჩანართი; ჩანართის მიზანია უნივერსიტეტის სიახლეების, წარმატებებისა და მიღწევების პოპულარიზაცია.

2016 წელს ხდებოდა ორენოვანი ვებ გვერდის <https://www.tsu.ge/science> ადმინისტრირება და სიახლეების მომზადება საიტისთვის; ასევე გასული წლის განმავლობაში მომზადდა მასალები სამეცნიერო კვლევების შესახებ 2016 წლის ჟურნალისთვის „თსუ მეცნიერება“,

რომელიც 2016 წლიდან ბეჭდური სახით არ გამოდის, სტატიები ელექტრონულად ვრცელდება ვებ-გვერდსა და ფბ-ზე. (მიმდინარე სიახლეების გარდა, ვებ-გვერდისთვის მომზადდა ყოველი ფაკულტეტიდან საშუალოდ 3-3 მასალა კვლევითი პროექტების შესახებ, ასევე 4 სტატია სამეცნიერო ინსტიტუტებში განხორციელებული კვლევების შესახებ);

უნივერსიტეტის საიტის განყოფილებისთვის თსუ. Online მზადდება მასალები თსუ სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესორების წარმატებების შესახებ - 53 მასალა (ინტერვიუ, სტატია), რომელიც ვრცელდება ასევე ფეისბუქის მეშვეობით. აღნიშნული მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაბეჭდილი და გავრცელებულია ასევე განათლების სამინისტროს ვებ-პორტალის მიერ პროექტის "365 ნაბიჯი" ფარგლებში.

დეპარტამენტი მუდმივ კავშირშია უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასა და ფაკულტეტების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან. წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან.

დეპარტამენტის თანამშრომლები აღნიშნული სტრუქტურებიდან მოძიებულ/მოწოდებულ ინფორმაციას ამუშავებენ და მედიის სხვადასხვა საშუალებებში მიზანმიმართულად ავრცელებენ; ასევე, დეპარტამენტი ხელს უწყობს უნივერსიტეტის შიგნით არსებული აკადემიური და ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლების კომუნიკაციას.

2016 წელს დეპარტამენტის ხელშეწყობით გაიმართა კონფერენციები, სემინარები, საჯარო ლექციები, ღონისძიებები, და კონკურსები, გაფორმდა მემორანდუმები, რომელშიც მონაწილეობას აქტიურად იღებდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები. წლის განმავლობაში 400-მდე ღონისძიება გაიმართა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ოპერატიულ და მიზანმიმართულ გავრცელებას საუნივერსიტეტო სივრცეში(ვებ-გვერდი, ფეისბუქის გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სარეკლამოდაფები, უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსში დამონტაჟებული ეკრანები).

2016 წელს სოციალურ ქსელში –Facebook-ში აქტივობის მაჩვენებელი გაიზარდა. დღეისთვის 90 000-მდე მომხმარებელი იღებს ინფორმაციას თსუ-ს შესახებ, გვიზიარებს საკუთარ მოსაზრებებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საკუთარი არხი YouTube-ზე, სადაც თავსდება ყველა საჯარო ლექციი სჩანაწერი და უნივერსიტეტის შესახებ გადაღებული საინტერესო ვიდეო-მასალები. ასევე დაიწყო აქტივობა Instagram, Twitter-ზე.

2016 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობდა შემდეგ სახელისუფლებო სტრუქტურებთან: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს მთავრობის კანცელარია- პრემიერ-მინისტრის აპარატი, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;

ეროვნული გამოცდების და შეფასების ცენტრი; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსხვავებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; საქართველოს უზენაესი და თბილისის საქალაქო სასამართლოები; თბილისის მერია; საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან.

განხორციელებული საუნივერსიტეტო პროექტები: თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და კომპანია "ჯეოსელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლობით სტარტი აიღო სტუდენტურმა ლიტერატურულმა კონკურსმა "შემოდგომის ლეგენდა". პროექტში საქართველოს რეგიონების უმაღლესი სასწავლებლებიც მონაწილეობენ. 2016 წელს კონკურსის პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო 300-მდე კონკურსანტმა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან, მათ შორის ბათუმის, ქუთაისის, გორის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან.

სპეციალურმა ჟიურიმ 10 ფინალისტი გამოავლინა, რომლებიც სამი დღის განმავლობაში კახეთში იმყოფებოდნენ და ახალ ნაშრომებს ქმნიდნენ. 11-13 ნოემბერს კახეთში სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის იმპროვიზაციული ტური ჩატარდა. ლიტერატურულმა ჟიურიმ თბილისში დაჯილდოების სადამოხე სამი გამარჯვებული გამოავლინა, რომელთაც უნივერსიტეტის ფულადი პრემია და ჯეოსელის საჩუქრები გადაეცა. I ადგილის მფლობელი 1000 ლარით და კონკურსის სიმბოლოთი, II ადგილოსანი 700 ლარით, ხოლო III ადგილზე გასული კონკურსანტი 500 ლარის ოდენობის ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ. სადამოხე მოსულ ყველა სტუმარს საჩუქრად გადაეცა ლიტერატურული კრებული, რომელმაც კონკურსის ორი - 2015-2016 წლის საუკეთესო ნაშრომები მოიცვა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო განათლების საერთაშორისო გამოფენაში. განათლების მეხუთე საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გაიმართა. გამოფენაზე უნივერსიტეტის ორიგინალური სტენდით წარსდგა და საგამოფენო სტენდის საუკეთესო დიზაინის ნომინაციაში გაიმარჯვა. გამოფენის სტუმრებმა მიიღეს ინფორმაცია თსუ ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), გაცვლითი პროგრამების, სამეცნიერო ლაბორატორიების, მათ შორის ფაბლაბის საქმიანობის, შესახებ. ღონისძიების მსვლელობისას გაიმართა შემეცნებითი ხასიათის ვიქტორინა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ პრიზებით უნივერსიტეტის ბრენდირებული ატრიბუტიკით.

2016 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში "მისია2016", რომლის დაჯილდოების ცერემონია აპრილში გაიმართა. უნივერსიტეტის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. კონკურსის პარტნიორი "თიბისიბანკი" იყო, რომელმაც გამარჯვებულ სამ გუნდს ფულადი პრემია გადასცა, კონკურსის საპრიზო ფონდი 5000

ლარს შეადგენს. კონკურსანტებს დავალება ელექტრონული წიგნების სახლმა „საბამ“ მისცა. კონკურსის პირველ ტურში მონაწილეობა 63-მა გუნდმა მიიღო, ხოლო ფინალში საუკეთესო 6 გუნდი გავიდა. სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამხდარიყვნენ პარტნიორი კომპანიის მარკეტინგის ვირტუალური მენეჯერები და შეექმნათ სტრატეგია. აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას და სამომავლო დასაქმების პერსპექტივას.

2016 წელს უნივერსიტეტმა კიდევ ერთი სტუდენტური კონკურსი ჩაატარა. კონკურსი „პლანეტა რიდმორი“ წიგნის პოპულარიზაციას და ახალგაზრდებში კითხვის კულტურის წახალისებას ემსახურება. კონკურსის პარტნიორი გამომცემლობა "წიგნები ბათუმში" იყო, სტუდენტურ კონკურსში რამდენიმე ასეული სტუდენტი ჩაერთო, რომლებიც 10 ტურის განმავლობაში შერჩეულ წიგნებს კითხულობდნენ და ტესტებს წერდნენ, საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტმა ფულადი პრიზი - 1000 ლარი მიიღო.

2016 წელს, ბაკალავრთა გამოშვების ღონისძიება საზეიმოდ აღინიშნა. უნივერსიტეტის ორგანიზებით 3000-მდე კურსდამთავრებულმა მოიხრგო მანტია და უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში აღნიშნა უნივერსიტეტის დამთავრება. ბაკალავრებს მიულოცეს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა, კონცერტი გამართა ჯგუფმა „თსუ-არტი“.

ექსპო-ჯორჯიაში გაიმართა წიგნის ფესტივალი, რომელშიც უნივერსიტეტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. გაიმართა უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია.

უნივერსიტეტში მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ცერემონიას თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე, ფინანსთა მინისტრი, თსუ პროფესორი ნოდარ ხადური, აკადემიური საბჭოს წევრები, ფაკულტეტების დეკანები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“, გაიმართა მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული, რომელშიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთო. საერთაშორისო სამეცნიერო ფესტივალის ფარგლებში თსუ სტუდენტებმა და პროფესორებმა გამართეს საჯარო ლექციები. დამთავალიერებლებმა მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ არქეოლოგიურ საველე სამუშაოებში, სახალისო ექსპერიმენტებში ფიზიკასა და ქიმიაში. „ექსპო-ჯორჯიაში“ გამოიფინა უნივერსიტეტის ზოოლოგიის მუზეუმისა და უნივერსიტეტის მინერალოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ექსპონანტები.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა წინასახალწლოდ მოამზადეს უნივერსიტეტის საიმიჯო ატრიბუტიკა; მათ შორის, კალენდარი, რომელიც ეძღვნება უნივერსიტეტულ მკვლევარებს, რომელთაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. კალენდარი, საფოსტო ბარათები, საიმიჯო ატრიბუტიკა უნივერსიტეტის ყველა მეგობარი ორგანიზაციისა და სტრუქტურის წარმომადგენელს, ასევე უნივერსიტეტის თანამშრომლებს გადაეცა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი თანამშრომლობს მედია საშუალებებთან. რეგულარულად ამზადებს პრესრელიზებს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ყველა საინფორმაციო საშუალებას აწვდის ინფორმაციას. მედიასთან აქტიური ურთიერთობა უნივერსიტეტის პროექტებთან ერთად სტუდენტთა საპროტესტო აქტივობითაც იყო განპირობებული უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები გაშუქდა ტელევიზიებში: "საზოგადოებრივი მაუწყებელი", "რუსთავი2", "იმედი",



"კავკასია", ერთსულოვნება", ტელეკომპანია "აჭარა", „GDS“, „ტაბულა“, „მაესტრო“, „ობიექტივი“, „პალიტრა TV“ „ტვ პირველი“. გაზეთებსა და ჟურნალებში: "ახალი თაობა", "რეზონანსი" "საქართველოს რესპუბლიკა", "კვირის პალიტრა", „ტაბულა“, „ლიბერალი“, „პრაიმ-ტაიმი“, „ვერსია“, „ქრონიკა“, „ალია“. რადიოში: "საზოგადოებრივი რადიო", "ფორტუნა", "რადიო იმედი", "რადიო უცნობი", "თავისუფლება", "მწვანე ტალღა", „რადიო პალიტრა“, „ცხელი შოკოლადი“. საინფორმაციო სააგენტოებში: "ინტერპრესნიუსი", "პირველი", "მედიანიუსი", „ნიუპოსტი“, "კავკას-პრესი", "ახალი ამბები\_საქართველო", "ექსპრესნიუსი", „ინფო-9“, „ფრონტნიუსი“, „ნიუს.ჯი“ და სხვა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ჟურნალისტებისთვის უზრუნველყოფს საჭირო რესპონდენტთა შერჩევას, აწვდის მათ ინფორმაციას უნივერსიტეტში დაგეგმილ სიახლეებისა და პროექტების შესახებ, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტები ქმნიან სატელევიზიო თუ რადიოსიუჟეტებს, წერენ საინტერესო სტატიებს.

ტელეკომპანიების "რუსთავი 2", "იმედი", „მაესტრო“, „ერთსულოვნება“ და "საზოგადოებრივი მაუწყებელი" ეთერში მომზადდა ექსკლუზიური სიუჟეტები უნივერსიტეტში მიმდინარე საინტერესო მოვლენებზე.

ყოველთვიურად მედიაში (ტელე, რადიო, ბეჭდური, ინტერნეტმედია) დაახლოებით 400-700 სტატია, სიუჟეტი და ინფორმაცია ვრცელდება საუნივერსიტეტო ღონისძიებების შესახებ (წელიწადში დაახლოებით 6 000-მდე).

**საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტმა**, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყო ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოძიება. სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიური მიმოწერისა და მოლაპარაკებების საფუძველზე შემუშავებულ იქნა აკადემიური თანამშრომლობის ფორმატი და საბოლოო ჯამში გაფორმდა/განახლდა განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის 25 ხელშეკრულება შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო საწესებულებებთან: .სამხრეთ იუტას უნივერსიტეტი (აშშ); იუტას სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ); ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის დუსელდორფის უნივერსიტეტი (გერმანია); კარლსრუეს ტექნოლოგიური ინსტიტუტი (გერმანია); ორდუს უნივერსიტეტი (თურქეთი); ინდონეზიის უნივერსიტეტი (ინდონეზია); მოჰადელ არდაბილის სახელობის უნივერსიტეტი (ირანი); ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტი (იტალია); ნეაპოლის მეორე უნივერსიტეტი (იტალია); ლაკვილას უნივერსიტეტი (იტალია); რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტი (იტალია); ბალტიის საერთაშორისო აკადემია (ლატვია); გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ვილნიუსის კოლეჯი (ლიტვა); ლუქსემბურგის უნივერსიტეტი (ლუქსემბურგი); „ოჰრიდის წმ. მოციქულ პავლეს“ საინფორმაციო მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (მაკედონია); რაბათში მუჰამედ V-ის სახელობის უნივერსიტეტი (მაროკო); ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ კვლევების ცენტრი (პოლონეთი); პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია); მონპელიეს უნივერსიტეტი (საფრანგეთი); მენის უნივერსიტეტი (საფრანგეთი); უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია (უნგრეთი); ყაზახეთის ჰუმანიტარულ-იურიდიული უნივერსიტეტი (ყაზახეთი); ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია); პოლიტიკური მეცნიერებისა და სამართლის აღმოსავლეთ ჩინეთის უნივერსიტეტი (ჩინეთი); ლაიდენის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები).

პასუხი გაეცა უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთეულებიდან, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციებიდან შემოსულ ასეულობით



კორესპონდენციას; მომზადდა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შუამდგომლობის ასეულობით წერილი თსუ-ს სტუდენტებსა და აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალზე ვიზების გაცემის მიზნით; ასევე, მომზადდა ათეულობით უცხოენოვანი წერილი, მათ შორის, საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ინსტიტუციონალური მხარდაჭერის წერილი/მანდატი და ა. შ.

სხვადასხვა ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით მომზადდა და ევროკომისიაში დასაფინანსებლად წარდგენილ იქნა ერაზმუს+ის საერთაშორისო კრედიტ მობილობის 57 საერთაშორისო საგრანტო განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა 45 პროექტი შემდეგ უნივერსიტეტებთან: ზალცბურგის უნივერსიტეტი (ავსტრია), ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი (ბელგია), რუსეს უნივერსიტეტი (ბულგარეთი), ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტი (ბულგარეთი), ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი (გერმანია), იენის უნივერსიტეტი (გერმანია), გისენის უნივერსიტეტი (გერმანია), კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გერმანია), შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა გერმანული უნივერსიტეტი (გერმანია), ზაარლანდის უნივერსიტეტი (გერმანია), კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა ინსტიტუტი (გერმანია), კორუნას უნივერსიტეტი (ესპანეთი), გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი), კადისის უნივერსიტეტი (ესპანეთი), ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (ესპანეთი), ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი), ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (თურქეთი), აფიონ ქოჩათეფეს უნივერსიტეტი (თურქეთი), ლიმერიკის უნივერსიტეტი (ირლანდია), ისლანდიის უნივერსიტეტი (ისლანდია), ბოლონიის უნივერსიტეტი (იტალია), ტუმას უნივერსიტეტი (იტალია), ინსუბრიას უნივერსიტეტი (იტალია), ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტი (იტალია), რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტი (იტალია), პავიას უნივერსიტეტი (იტალია), ვილნიუსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (ლიტვა), ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტი (ლიტვა), მიკოლას რომერის უნივერსიტეტი (ლიტვა), ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი), ლოდის უნივერსიტეტი (პოლონეთი), იაგელონიის უნივერსიტეტი (პოლონეთი), რშჟეჟოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (პოლონეთი), დობროვა გორნიჩას უნივერსიტეტი (პოლონეთი), ბილისტოკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი), პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია), ლისაბონის უნივერსიტეტი (პორტუგალია), იაშის უნივერსიტეტი (რუმინეთი), მონპელიეს უნივერსიტეტი (საფრანგეთი), მისკოლჩის უნივერსიტეტი (უნგრეთი), ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (უნგრეთი), ჰელსინკის უნივერსიტეტი (ფინეთი), ტურკუს უნივერსიტეტი (ფინეთი), მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), გრონინგენის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები).

ერაზმუს+ის საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროექტების გარდა მომზადდა: საპროექტო განაცხადი სახელწოდებით: კრიტიკული აზროვნება აკადემიურ გარემოში სამხრეთ კავკასიასა და ნორვეგიაში (“Critical thinking in academic settings in South Caucasus Countries and Norway”). საპროექტო განაცხადი დასაფინანსებლად წარედგინა ნორვეგიის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განათლების ცენტრს (SIU). საპროექტო განაცხადი Horizon 2020 პროგრამის ფარგლებში სახელწოდებით “მეცნიერება, ტექნოლოგია, ხელოვნება, მათემატიკა და კომიქსები” (STEAMECO). აღნიშნული საპროექტო განაცხადი დასაფინანსებლად წარედგინა ევროკომისიას.

საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტმა ადმინისტრირება გაუწია შემდეგ პროექტებს:

**ERASMUS MUNDUS -WEBB/Whole Europe beyond Borders**

საერთო ბიუჯეტი: 3,926,700 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე

**ERASMUS MUNDUS -BACKIS / Between Black and Caspian Seas**

საერთო ბიუჯეტი: 3,960,800 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე

**ERASMUS MUNDUS -ELECTRA /Enhancing learning in ENPI Countries through Clean Technologies and Research-Related Activities**

საერთო ბიუჯეტი: 3,959,725 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე

**ERASMUS MUNDUS -IANUS/Inter-Academic Network Erasmus Mundus**

საერთო ბიუჯეტი: 3,920,475 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე

**ERASMUS MUNDUS – EMBER/Erasmus Mundus Broadening Educational Experiences**

საერთო ბიუჯეტი: 3,090,150 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე

**ERASMUS MUNDUS – HERMES/Humanities Education Revitalized Via Mundus**

საერთო ბიუჯეტი: 2,299,375 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე

**ERASMUS + ის 38 პროექტი, ხანგრძლივობა: 2015-2017 წწ.**

**ERASMUS + ის 45 პროექტი, ხანგრძლივობა: 2016-2018 წწ.**

ერაზმუს მუნდუსისა და ერაზმუს+ ის პროექტების ფარგლებში საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტების, მკვლევარებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას ევროპის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ისევე როგორც პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების სტუდენტების, მკვლევარებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას უნივერსიტეტში.

Marie Curie Actions/IRSES -Possibilities and Limits, Challenges and Obstacles of Transferring CEE EU Pre-accession Best Practices and Experience to Moldova’s and Georgia’s Pre-accession Process პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს კვლევას ევროკავშირისა და მოლოდვის და ასევე ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების მიმართულებით ისეთ სფეროებში, როგორცაა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, ევროკავშირში გაწევრიანების პირობები, სხვადასხვა ეკონომიკური, სამართლებრივი თუ პოლიტიკური ასპექტები დაკავშირებული ორი ქვეყნის (საქართველო და მოლდოვა) ევროკავშირში გაწევრიანების წინა პროცესთან. პროექტის ფოკუსი და პროექტთან დაკავშირებული კვლევები ემყარება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებების გაზიარების შესაძლებლობებს და ანალიზს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში თსუ-ს პროფესორებს და დოქტორანტებს შესაძლებლობა ეძლევათ გაატარონ 1 სრული თვე ტარტუს (ესტონეთი), ვილნიუსის (ლიტვა) ან მოლდოვის უნივერსიტეტებში. ვიზიტის ფარგლებში მკვლევარების სამუშაო განისაზღვრება რეგულარული თემატური სამუშაო შეხვედრებით და პულიკაციებით. კვლევის შედეგები გამოიყენება ევროკავშირთან დაკავშირებული კურიკულუმის და კურსების გაუმჯობესებასა და განვითარებისთვის ყველა მონაწილე უნივერსიტეტში: ტარტუს უნივერსიტეტი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, მოლდოვისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

TEMPUS – PICASA/Promoting Internationalization of HEIs in Eastern Neighborhood Countries through Cultural and Structural Adaptations პროექტის მიზანია აღმოსავლეთის სამეზობლო სივრცის (საქართველო, სომხეთი, ბელარუსი და უკრაინა) უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემების წინსვლა აღნიშნული ქვეყნების უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მენეჯმენტის სტრუქტურულ და კულტურულ კომპონენტებში ინტერნაციონალიზაციის

განზომილების განვითარებისა და ინტეგრაციის გზით. პროექტის საერთო ბიუჯეტი - 118,740.02 ევრო, ხანგრძლივობა: 36 თვე.

მეკლანას გაცვლითი პროგრამა საშუალებას აძლევს თურქეთში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს განახორციელონ სტუდენტებისა და პროფესორმასწავლებლების მობილობა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო 2013-2014 სასწავლო წლიდან და 2016 წლის მდგომარეობით ხელშეკრულება გააფორმა 28 თურქულ უნივერსიტეტთან, რაც ითვალისწინებს ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლებს.

დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია ათეულობით საერთაშორისო კონფერენციას, სემინარს, საჯარო ლექციას და რიგ შემთხვევებში უზრუნველყო ღონისძიების ინგლისურ/გერმანულენოვანი თარგმანი. ასევე, დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია 5 საპატიო პროფესორისთვის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ღონისძიებას.

დეპარტამენტმა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ფაკულტეტებზე და სტენდებზე გაავრცელა 250-მდე განცხადება გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ და დაინტერესებულ პირებს გაუწია კონსულტაციები სააპლიკაციო პროცედურებთან დაკავშირებით.

დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის შესარჩევ კონკურსებს ერასმუს მუნდუსის, ერასმუს პლიუსის, მარი კიურის გაცვლითი პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გამოცხადებული სტიპენდიების მოსაპოვებლად. კონკურსების შედეგად სტიპენდია მოიპოვა 278-მა სტუდენტმა, 10 მკვლევარმა და 73-მა აკადემიურმა/ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

გაცვლითი სტუდენტების, მკვლევარების და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მიღება თსუ-ში:თსუ-სა და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და ერასმუს მუნდუსის, ერასმუს პლიუსის, მარი კიურის გაცვლითი პროგრამების ფარგლებში საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 46 გაცვლითი სტუდენტის, 30 მკვლევარის და 27 აკადემიური პერსონალის ვიზიტს და უზრუნველყო მათი მობილობა თსუ-ს პროფილურ ფაკულტეტებზე.

საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციული პერსონალის 41 სამუშაო ვიზიტის განხორციელებას საზღვარგარეთ.

2016 წელს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია ოთხი მიმართულებით ახორციელებდა საქმიანობას. კერძოდ: გაზეთის ნომრების მომზადება/ბეჭდვა და ელექტრონული გაზეთის (ვებ-გვერდის) – newspaper.tsu.ge ყოველკვირეული განახლება (ინფორმაცია/სტატიების ატვირთვა); უნივერსიტეტის დამფუძნებლებლების, თსუ-ის

სამეცნიერო სკოლების ფუძემდებლებისა და ღვაწლმოსილი მეცნიერების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი 120-150 გვერდიანი ბროშურების მომზადება/გამოცემა; რედაქციასთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფის მიერ სატელევიზიო გადაცემების მომზადება (გადაცემები, საზოგადოებრივ მაუწყებელთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, ყოველ შაბათს გადის საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში); რედაქციასთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფის მიერ თსუ-ის სამეცნიერო სკოლების ფუძემდებლებისა და ღვაწლმოსილი მეცნიერების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ფილმების მომზადება.

საანგარიშო პერიოდში, სულ გამოიცა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 15 ნომერი; მომზადდა 2 სტუდენტური და 1 საიუბილეო ჩანართი.

2016 წელს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნდა 335 ჟურნალისტური მასალა:

<b>გამოქვეყნებული მასალები (ჟანრობრივი აღწერა)</b>	
ახალი ამბები	134
ინტერვიუ	37
ანალიზი	73
რეცენზია	20
მიმოხილვა	15
რეპორტაჟი	9
პროფაილი	18
ბლოგი	2
ოფიციალური მასალები (უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებები, განკარგულებები, აკადემიური საბჭოს დადგენილებები)	13
სხვა (ღვაწლმოსილ თანამშრომელთა გახსენებები, მიძღვნები)	14
<b>სულ</b>	<b>335</b>

გაზეთში გამოქვეყნებული მასალები განთავსდა 15 სხვადასხვა რუბრიკის ქვეშ და მიეძღვნა უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას, სასწავლო პროცესებისა და სიახლეების ასახვას, უნივერსიტეტის პროფესორთა/მკვლევართა სამეცნიერო მუშაობის წარმოჩენას (მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებისა და საჯარო ლექციების გაშუქებას, მეცნიერების კომერციალიზაციის ასპექტებზე აქცენტირებას, ახალი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების პოპულარიზაციას, უნივერსიტეტის პროფესორთა და ახალგაზრდა მკვლევართა საქმიანობის წარმოჩენას), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კვლევითი საქმიანობის ანალიზს, უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების/კონტაქტების წარმოჩენას, უნივერსიტეტის პროფესორთა ექსპერტულ ხედვებს აქტუალური საკითხების თაობაზე, სტუდენტური ცხოვრების გაშუქებას, სხვადასხვა სტუდენტური ჯგუფების/მოდრაობის და სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის/ინიციატივების/პოზიციების წარმოჩენას, ასევე, უნივერსიტეტში მიმდინარე კულტურული და სპორტული ღონისძიებების პოპულარიზაციას.

<b>გამოქვეყნებული მასალების შინაარსობრივი აღწერა</b>	
<b>უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები</b>	<b>154</b>

(სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები, რექტორის ბრიფინგი/ანგარიში, სტუდენტური აქციები, სტუდენტური თვითმმართველობის ბრიფინგები, ბიუჯეტის განხილვა, სენატის სხდომები, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის/რექტორის/აკადემიური საბჭოს წევრთა/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის/სტუდენტური თვითმმართველობის წინასაარჩევნო პოზიციები/პროცესები, არჩევნები, და ა.შ.)	
<b>სამეცნიერო პრობლემატიკა</b> (სამეცნიერო კონფერენციები, ფორუმები, სესიები, იუბილეები, მეცნიერების კომერციალიზაციისა და თსუ-ის მკვლევართა პოპულარიზაცია)	71
<b>განათლების სისტემის რეფორმა</b> („უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე მოსაზრებები; რეფორმის მიმდინარეობა და პრობლემები - განხილვა/დისკუსია/ინტერვიუ)	21
<b>თსუ-სა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებს/სამეცნიერო ცენტრებს შორის კავშირები</b> (გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია; საერთაშორისო ურთიერთობები და სიახლე თსუ-სთვის)	16
<b>სახელმძღვანელოები ახალი სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის შესახებ</b> (უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე გამოცემული/ნათარგმნი სახელმძღვანელოების მიმოხილვა/რეცენზია, წიგნის საერთაშორისო ფესტივალების გამუქება)	20
<b>თსუ-ის პროფესორთა ექსპერტული ხედვები</b>	5
<b>კრიტიკული მასალები</b> (მ.შ. დისკუსიები, პრობლემის დასმა, მოსაზრება და ა.შ.)	11
<b>უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ცხოვრება</b> (სტუდენტური ღონისძიებები, გამოფენები, „საბავშვო უნივერსიტეტის“ ღონისძიებები, შეჯიბრებები და ა.შ.)	37
<b>სულ</b>	<b>335</b>

ყველა მასალა, რომელიც გასულ წელს მომზადდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის მიერ, განთავსებულია ვებგვერდზე: <http://newspaper.tsu.ge/ge/>.

2016 წლის მარტის მოვლენებით ცნობილი სტუდენტური აქციები გაშუქდა ყველა მხარის სრული პოზიციების წარმოჩენით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან ყოველგვარი ცენზურის მცდელობის გარეშე, რაც გაზეთის სარედაციო დამოუკიდებლობის ხარისხზე მიანიშნებს.

2016 წლის გაზაფხულზე რექტორის გადადგომისა და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, შემდეგ კი აგვისტოში ახალი რექტორის არჩევის ფაქტს არ გამოუწვევია გაზეთის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევა, რაც ასევე მიანიშნებს იმ ტენდენციაზე, რომ უნივერსიტეტის გაზეთის რედაქცია დღემდე ინარჩუნებს დამოუკიდებლობას (რედაქციის უფლება-მოვალეობის ფარგლებში, რაც დებულებითაა განსაზღვრული);

სექტემბრიდან უნივერსიტეტში ახალი ხელმძღვანელობის (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) მოსვლის შემდეგ რექტორის მიერ წარმოდგენილი უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის გათვალისწინებით), გაზეთში ახალი სტილით განახლდა სტუდენტური ჩანართი - „სტუდ-ეტიკი“, რომლის მომზადებაშიც სტუდენტთა გარკვეული ჯგუფები იღებდნენ მონაწილეობას, ისინი დამოუკიდებლად წერენ სტატიებს და რედაქტირებას თავად უკეთებენ ჩანართს. ეს ტენდენცია ითვალისწინებს სტუდენტთა პრაქტიკულ მომზადებასაც მომავალში მათი რედაქციაში დასაქმების პერსპექტივით (რაც რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საუნივერსიტეტო მასშტაბის წამოწყებაა); უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივის გათვალისწინებით, ასევე, შემოღებულ იქნა ახალი რუბრიკა - „თსუ - კურსდამთავრებული“, რაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა წარმოჩენასა და მობილიზებას ისახავს მიზნად. ეს რუბრიკა ხელს შეუწყობს „თსუ კურსდამთავრებულთა ფონდის“ პოპულარიზაციასაც. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის სტრატეგიული განვითარების გეგმის გათვალისწინებით, შემოღებულ იქნა რუბრიკა - „მეცნიერების კომერციალიზაცია“, რაც იმ სამეცნიერო კვლევების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, რომელიც კომერციული ასპექტითაც პერსპექტიულია.

2016 წლის ბოლოს დაიგეგმა 2017 წლისთვის გამომავალი გაზეთის ქუდისა და გვერდების დიზაინის/ვიზუალური სტრუქტურის მასშტაბური ცვლილებაც, რაც წარმატებით განხორციელდა.

გაზეთის რედაქცია ამზადებს გაზეთის ახალ დებულებას და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის ქვევის კოდექსს.

გარდა აღნიშნულისა, 2016 წელს მომზადდა და გამოიცა დიმიტრი უზნაძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი 154 გვერდიანი ბროშურა - „დიმიტრი უზნაძე - სულმა იგივეობა და უცვლელობა არ იცის“. ბროშურისთვის მომზადდა 20 სტატია, რომელიც ასახავს დიმიტრი უზნაძის მრავალმხრივ მოღვაწეობას: შეგროვდა და დამუშავდა ფოტო-მასალა, რომლითაც გამდიდრებულია წიგნი. ბროშურის პრეზენტაცია შედგა 2016 წლის დეკემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

2016 წელს მომზადდა ფილმი ცნობილ მთარგმნელსა და პროფესორზე ერეკლე ტატიშვილზე სახელწოდებით - „კაცი - ფასკუნჯი“; ერეკლე ტატიშვილისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმის ჩვენება გაიმართა რედაქციის მიერ მოწყობილ საიუბილეო ღონისძიებაზე. ამავე წელს დაიწყო მარიამ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობა.

რედაქციასთან არსებულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა, „სუპერ-ეგო“/„უნი-ვერსია“-ს ფარგლებში 2016 წელს მოამზადა 30 გადაცემა (VI კორპუსის ბლოკირების მიზეზით ოქტომბრიდან ვერ ხერხდებოდა გადაცემების წარმოება, რის გამოც დამატებით რამდენიმე გადაცემაში განმეორდა დოკუმენტური ფილმები, რომელიც გადამონტაჟდა);

თითოეული გადაცემისთვის თემატურად მზადდება 3-4 სიუჟეტი, სტუდიაში სამსჯელოდ მოწვეულია 2 პროფესორი და 3-4 სტუდენტი (შერჩევა ხდება წინასწარი გამოკითხვების თანახმად);

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის სექტემბრიდან შეიცვალა გადაცემის სახელწოდება, დამზადდა გადაცემის ახალი ქუდი და ტიხრები (აღრე გადაცემას ერქვა „სუპერ-ეგო“, სექტემბრიდან კი ეწოდა „უნი-ვერსია“);

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის სტრატეგიული განვითარების გეგმის გათვალისწინებით, გადაცემისთვის „უნი-ვერსია“ ყოველკვირეულად თითო სიუჟეტს ამზადებენ სტუდენტები, რომლებიც სწავლის პარალელურად პრაქტიკასაც გადიან.

გადაცემებში განხილული თემატიკის ანალიზი:

<b>გადაცემების თემატიკა</b>	
უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებისადმი მიძღვნილი დისკუსია (სტუმრები: უნივერსიტეტის რექტორი ლადო პაპავა; პროფესორი ავთანდილ სილაგაძე; ვიცე-რექტორი იოსებ სალუქვაძე; პროფესორი გუგული მაღრაძე; ვიცე-რექტორი მიხეილ ჩხენკელი; თსუ-ის თვითმმართველობის პრეზიდენტი ბახვა კვირიკაშვილი)	6 გადაცემა
უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორთა პოპულარიზაცია (მარიამ ლორთქიფანიძის, მზექალა შანიძის, ზურაბ ჭუმბურიძისადმი მიძღვნილი გადაცემები)	3 გადაცემა
სტუდენტური პრობლემები	2 გადაცემა
რელიგიისა და თავისუფლების საკითხები (სტუმრები: აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი, პროფესორები: ირაკლი ბრაჭული და ზურაბ კიკნაძე, რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი, სექსოლოგი ანდრო კანდელაკი)	5 გადაცემა
საზოგადოებისთვის საინტერესო აქტუალური საკითხები (ეფექტური საჯარო გამოსვლა; „რამ გადაგვარჩინა“ - აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის საჯარო ლექცია და დისკუსია სტუდიაში; კორპორატიული კულტურის განვითარების აუცილებლობა თსუ-ში.	3 გადაცემა
ქართული ენის წინაშე გამოკვეთილი პრობლემები (სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღებიდან დღემდე. სტუმარი: ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ავთანდილ არაბული)	1 გადაცემა
საიუბილეო და გასართობი გადაცემები (სახალწლო გადაცემა, თსუ-ის 98 წლისა და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 89 წლისთავის გამო)	3 გადაცემა

გადაცემის ფორმატში ნაჩვენებია იქნა 7 დოკუმენტური ფილმი ღვაწლმოსილ მეცნიერებსა და მოღვაწეებზე: ივანე ჯავახიშვილზე (რეჟ. მერაბ კოკოჩაშვილი), ერეკლე ტატიშვილზე, გივი გაჩეჩილაძეზე, თამაზ გამყრელიძეზე, სვიმონ კლდიაშვილსა და არიანე ჭანტურიაზე (რეჟ. ნინო კაკულია).

2016 წელს კანცელარიაში დარეგისტრირდა 75857 კორესპონდენცია.

მათ შორის:

შემოსული კორესპონდენცია	46 820
კონტროლზე იყო აყვანილი	7 854
ყველა წერილზე რეაგირება მოხდა დადგენილ ვადაში,	
გამოიცა ბრძანება	7 556
გაფორმდა ხელშეკრულება (მემორანდუმი)	8 385(55)



სხვადასხვა ორგანიზაციებში და თსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებში


გაიგზავნა კორესპონდენცია

13 096

ხუთი წლის განმავლობაში კანცელარიაში დოკუმენტბრუნვის მონაცემებს (2011-2015 წ.წ)

	შემოსული კორესპონდენცია	ბრძანებები	ხელშეკრულებები	გასული კორესპონდენცია
2016 წელი	46 820	7 556	8 385	13 096
2015 წელი	49 631	7 475	9 210	13 553
2014 წელი	45 434	7 950	8 068	13 553
2013 წელი	40 605	7 430	6 844	11 507
2012 წელი	34 337	7 021	7 393	9 660

უნდა აღინიშნოს რომ, ადმინისტრაციული ერთეულების მიერ დოკუმენტების განხილვა და მათზე რეაგირება ხდება ოპერატიულად. კერძოდ, შემოსული კორესპონდენციის 31% შესრულდა დაუყოვნებლივ 1-2 დღის ვადაში, 52% კი 2-15 დღის ვადაში, ანუ 15 დღის ვადაში დასრულდა მუშაობა და კონტროლიდან მოიხსნა შემოსული კორესპონდენციის 83%, 15-დან 30 დღეში მოიხსნა კორესპონდენციის 14%, კორესპონდენციის 4% მოიხსნა კონტროლიდან 30 დღის შემდგომ პერიოდში. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული განპირობებული იყო ძირითადად ობიექტური გარემოებებით და დაკავშირებული იყო ტენდერით რეგულირებად საკითხებთან.



2016 წელს, კანცელარიაში მოქმედი დოკუმენტბრუნვის პროგრამა მუშაობდა ავტონომიურ რეჟიმში, უნივერსიტეტში მოქმედი ქსელური სისტემის - კანცელარიის ჯგუფში. ანალოგიური ელექტრონული საქმისწარმოების მონაცემთა ბაზა მუშაობდა

ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებში, ადაპტირებული და მორგებული მათ სამუშაო სიტუაციას.

2016 წლის 16 დეკემბერს . დაიდო ხელშეკრულება სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“-თან , რომლის ფარგლებშიც განხორციელდა eDocument - საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა. სისტემა სამსახურებრივი დოკუმენტების ქალაქის გამოყენებლად მოძრაობის საშუალებას იძლევა. სისტემის მეშვეობით მარტივად ხდება დავალებების, მათზე რეაგირებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მუდმივი მონიტორინგის პროცესის განხორციელება.

### **III. საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, საჯაროობა, კანონიერების უზრუნველყოფა და კონტროლი, უსაფრთხოების დაცვა**

2016 წელს, იურიდიული დეპარტამენტის საქმიანობის სფერო მოიცავდა, მიმდინარე სასამართლო პროცესებში მონაწილეობას (სულ 18), აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა - 5, სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული დავა - 1, სტუდენტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით - 1, დიპლომის გაცემასთან დაკავშირებით - 1, მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით - 1, შრომითი დავა -3, პლაგიატთან დაკავშირებით - 2, უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით - 1, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული აქტის

კანონიერებასთან დაკავშირებით - 1, დავალიანების გადახდასთან დაკავშირებით - 1, საკუთრებასთან დაკავშირებით - 1.

2016 წელს დამთავრებული საქმეები (სულ - 2) სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული დავა - 1, დიპლომის გაცემასთან დაკავშირებული დავა - 1,

საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოვიდა 111 მოთხოვნა, მათ შორის ელექტრონული რესურსის მემწეობით დარეგისტრირდა 32 განაცხადი. საჯარო ინფორმაციაში შესწორების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებებიდან:

91 შემთხვევაში გაიცა საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად;

15 შემთხვევაში განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ინფორმაცია გაიცა პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შემცველი ინფორმაციის გარეშე (ინფორმაციის გაცემის შესახებ უფლებამოსილი პირის თანხმობის არარსებობის გამო);

1 შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა სხვის პერსონალურ მონაცემს (ინფორმაციის გაცემის შესახებ უფლებამოსილი პირის თანხმობის არარსებობის გამო);

4 შემთხვევაში განმცხადებელს ეთხოვა ინფორმაციის დაზუსტება, ხოლო დაზუსტებული საჯარო ინფორმაციის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა;

სამართლებრივი შეფასება და რეაგირება გაუკეთდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში შემოსულ, იურიდიული დეპარტამენტისათვის გადმოცემულ 2655 განცხადებაში დასმულ საკითხებს, მომზადდა და სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებს, საგრანტო ხელშეკრულებებს, მომზადდა ქირავნობის და სხვა ხელშეკრულებები.

გატარდა და მიმდინარეობს ღონისძიებები უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების დადგენილი ფორმით სარგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით (მათ შორის საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე უნივერსიტეტისათვის შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები).

2016 წელს, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 88,30 კვ. მეტრი ფართის მქონე შენობა-ნაგებობა, 5 წლის ვადით, იჯარით იქნა გაცემული სამგზავრო-კიდული საბაგირო გზის მოწყობის მიზნით.

მიმდინარეობს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების, მათ შორის სტრუქტურული ერთეულების დებულებების სამართლებრივი ექსპერტიზა, მათში ცვლილებების შეტანა და ახალი დებულებების დამტკიცება, მათ შორის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების დებულებების დამტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება (2016 წლის განმავლობაში დამტკიცდა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების 11 დებულება).

საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებებით ხორციელდებოდა

უნივერსიტეტის მიმდინარე სამუშაო პროცესში არსებული საკითხების შესწავლა, რისკების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და გაცემა. ამასთან, სამსახური ახორციელებდა უნივერსიტეტში შემოსული წერილების (საჩივრები, კითხვები და ა.შ.) შესწავლასა და შესაბამის რეაგირებას კომპეტენციის ფარგლებში. ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მომართვის საფუძველზე, სამსახური მათ პერმანენტულად უწევდა კონსულტაციებს და აძლევდა სათანადო რეკომენდაციებს სამუშაო პროცესში წამოჭრილ პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში.

სამსახურის მიერ შერჩევით შემოწმებული იქნა 2012 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდში უნივერსიტეტის მიერ სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების, საბუღალტრო ანგარიშებზე ასახვის მდგომარეობა და მათი შესაბამისობა მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან. აღნიშნულ საკითხზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საფინანსო დეპარტამენტს მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები.

შესწავლილი იქნა 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში უნივერსიტეტის მიერ სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების მდგომარეობა. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებთან დაკავშირებით გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები და პასუხისმგებელი პირების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განსახილველად მასალები გადაეცა დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას.

შეისწავლა რ.აგლამის სახელობის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული თანხებისა და შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა. შესწავლის შედეგად გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად და არაკეთილსინდისიერად შესრულების გამო მასალები გადაეგზავნა პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას და შესაძლო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებთან დაკავშირებით სამსახურის მიერ მოთხოვნილი იქნა მასალების სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემა.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალების შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა უნივერსიტეტის მე-10 სასწავლო (მაღლივი) კორპუსში მოქმედი კვების ობიექტის საქმიანობის ფინანსური ანალიზი. შედეგად გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები და სამსახურის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა განხილულიყო კვების ობიექტზე მომუშავე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების საკითხი, მისი ნაწილობრივი შეჩერება/შემცირების მხრივ იმ პერიოდისათვის როდესაც ობიექტი საქმიანობას დროებით წყვეტდა; ასევე სასწავლო პერიოდის გათვალისწინებით პროდუქტების წარმოებისათვის ნედლეულის, მარაგების მაქსიმალური სიზუსტით დაგეგმვისა და შესყიდვების განხორციელების თაობაზე.

შეისწავლა მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სამეურნეო განყოფილების თანამშრომლის (მუშა) ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში სამსახურში გამოცხადების ფაქტთან დაკავშირებული საკითხი. საკითხის შესწავლით დადასტურდა ხსენებული ფაქტი და უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური ნორმების დარღვევის გამო თანამშრომლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა დაევალა უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებით შექმნილ კომისიას.

სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა ბაგების სტუდენტის მე-2 კორპუსის მოზინადრესა და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს შორის 2016 წლის 12 აპრილს მომხდარი ინციდენტის საკითხი. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მოზინადრეს აღარ ჰქონდა უფლებამოსილება ესარგებლა უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლით. შესაბამისად ბაგების სტუდენტში პასუხისმგებელი პირების მიმართ საკითხი დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად მასალები გადაეცა უნივერსიტეტის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას.

უნივერსიტეტის რექტორის დავალებით სამსახურმა შეისწავლა უნივერსიტეტში ე. წ. „ოდერების“ არსებობის საკითხი, რაზედაც მომზადდა შესაბამისი მოხსენებითი ბარათი და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი მასალები გაეგზავნა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის მატერიალური და ელექტრონული ფორმით გაცემაზე, ასევე მის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირის მეშვეობით დაინტერესებულ პირს.

იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად შეისწავლა, უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სადოქტორო პროგრამაზე სასწავლო პროცესში დასაქმების საკითხი. რამდენადაც სასწავლო გეგმა პროგრამულად არ ითვალისწინებდა იმ სასწავლო კურსებს, რომელშიც დოქტორანტს გააჩნდა შესაბამისი კომპეტენცია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მხრიდან მას არ მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია.

შეისწავლილი იქნა მოქალაქე ნინო კილურაძის განცხადება, რომლითაც მიუთითებდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის და აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის მიერ ცრუ, ცილისმწამებლურ, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელების, პროფესორის მიერ პირადი შეურაცხყოფის, კომისიის მიერ მონაცემების ფალსიფიკაციასა და დოკუმენტების უხეში ფაბრიკაციის თაობაზე. აკადემიური ეთიკის შესაძლო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით (პლაგიატი, კომპილაცია) საკითხი გადაეცა რექტორის ბრძანებით შექმნილ კომისიას, ხოლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების პირდაპირი დარღვევის ფაქტები სამსახურის მიერ არ გამოვლენილა.

უნივერსიტეტის რექტორის რეზოლუციის შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში (უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა) დასაფინანსებლად გაგზავნილი უნივერსიტეტის წარმატებული მაგისტრანტების ნუსხაში

არსებული რაოდენობრივი უზუსტობების საკითხი. სამსახურის მიერ გაიცა რეკომენდაციები და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს მიეთითათ მეტი კომუნიკაცია/კოორდინაციაზე და ინფორმაციის დროულ მიწოდება/გაცვლაზე.

სამსახურის მიერ განხილულ იქნა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის ა.ბებიას კრიმინალისტიკის ფინალური გამოცდიდან მოხსნის და გამოცდის გადაბარებაზე ნებართვის მიცემის საკითხი. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, საგომოცდო ცენტრის დამკვირვებლის მხრიდან თსუ-ში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევები. რამდენადაც დამკვირვებლები იმ ეტაპისთვის უკვე აღარ წარმოადგენდნენ უნივერსიტეტის თანამშრომლებს შესაბამისად მათ მიმართ ვეღარ გატარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ზომები და საგამოცდო ცენტრს მიეცა რეკომენდაციები პერმანენტულად დამკვირვებელთათვის ინსტრუქტაჟის განხორციელების თაობაზე. ასევე გამოვლინდა სტუდენტის მხრიდან ზემოხსენებული ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევა და შესაბამისად სტუდენტის მოთხოვნები ვერ იქნა დაკმაყოფილებული შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო.

შეისწავლა მოქალაქე მერაბ ცაგარეიშვილის განცხადება, რომელიც მისი მოსაზრებით შეეხებოდა, 2005-2006 წლებში უნივერსიტეტის ბეჭდვით ორგანოში განვითარებულ კანონსაწინააღმდეგო, დანაშაულებრივ ქმედებებს და სტამბის ქონების შპს „ლიტერაზე“ მიკუთვნების საკითხს. შესწავლის შედეგად, ქონების შპს „ლიტერაზე“ მიკუთვნების და დანაშაულებრივი ქმედებების ფაქტები არ დადასტურდა. შესწავლის შედეგები ეცნობა ადრესატს.

შესწავლილი იქნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არჩეული ასოცირებული პროფესორის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრიდან ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრაზე გადაყვანის საკითხი. შედეგად გაირკვა, რომ მან კონკურსის წესით დადებითი შეფასების შედეგად, დაიკავა კონკრეტულად საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობა და მისი გადაყვანა არ შეიძლებოდა ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრაზე. აღნიშნულის შესახებ ეცნობა განმცხადებელს.

სამსახურის მიერ გამოვლენილი იქნა უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახურის თანამშრომლის მიერ სამსახურის გაცდენის ფაქტი და შემდგომი რეაგირების მიზნით მასალები გადაეგზავნა პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას.

შესწავლილი იქნა მოქალაქე თამარ კარელიძის პერსონალური მონაცემების უნივერსიტეტის მიერ ვებგვერდზე ატვირთვა/გასაჯაროების ფაქტები. რამდენადაც საკითხი შეეხებოდა ვებგვერდზე 2014 წლის 11 სექტემბერს ატვირთვას, ხანგრძლივი დროის გასვლის გამო შეუძლებელი გახდა სათანადო ინფორმაციის მოძიება (IP მისამართი და სხვა) და შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/ების დადგენა.

სამსახურმა განიხილა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის მ. გერსამიას ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად სავარაუდო დარღვევით არჩევისა და საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად დადგინდა, რომ

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთა არჩევა, კოორდინატორის განსაზღვრა და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევა არ მომხდარა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებით დადგენილი წესების დარღვევით.

სამსახურმა, დამატებითი ფაქტობრივი გარემოებების მოძიების დავალებით, შეისწავლა 2016 წლის 24 მაისს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში სტუდენტებს შორის მომხდარი ინციდენტი. საკითხის შესწავლის შემდგომ სამსახურმა მოითხოვა მოძიებული მასალების საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების) საბჭოსათვის გადაგზავნა დისციპლინური საქმისწარმოების დასაწყებად.

სამსახურმა, იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად ერთობლივად შეისწავლა „მედია და ახალი ტექნოლოგიების“ სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტს უნდა უზრუნველყო მაგისტრანტების მაგისტრის ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული ყველა თანმდევი სამართლებრივი მოქმედებების განხორციელება.

შეისწავლა შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ დასმული საკითხი მათი უფლება-მოვალეობებისა და მათ შორის სამსახურში გამოცხადების თაობაზე. რამდენადაც იმ პერიოდისათვის ინსტიტუტს არ გააჩნა დებულება, თანამშრომლებს განემარტათ, რომ მათზე ვრცელდებოდა უნივერსიტეტში მოქმედი შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები. შესაბამისად ეცნობათ, რომ ამ მოთხოვნების შესრულება სავალდებულო იყო უნივერსიტეტში მომუშავე ყველა პერსონალისათვის, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებისთვისაც. იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად, ასევე შესწავლილი იქნა ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოთხოვნა, ინსტიტუტის თანამშრომლის მხრიდან სისტემატურად სამსახურში გამოუცხადებლობის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების შესახებ. საკითხის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალია მასალების გადაცემა უნივერსიტეტის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედი კომისიისათვის.

სამსახურის მიერ განხილული იქნა უნივერსიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული უზრუნველყოფის კოორდინატორის თხოვნა სტამბის წარმადობიდან გამომდინარე, წიგნების ფერადი ბეჭდვა-დამზადების შესყიდვაზე შიდა აუდიტის სამსახურის მიერ რეკომენდაციის გაწევის თაობაზე. საკითხის შესწავლის შემდგომ განმცხადებელს მიეთითა, რომ საკითხი უნდა ყოფილიყო მეტად არგუმენტირებული და საფუძვლიანად დასაბუთებული, რის შემდგომაც უნდა მიემართათ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის.

უნივერსიტეტის რექტორის რეზოლუციის შესაბამისად, სამსახურმა განიხილა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის დავით ნიჟარაძის საჩივარი, რომელიც ეხებოდა მისი აზრით „დარღვევებით ჩატარებულ

კონკურსის შედეგებს“. საკითხის შესწავლის შემდგომ მომზადდა მოხსენებითი ბარათი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე და ეცნობა ასევე განმცხადებელს.

შესწავლილი იქნა უნივერსიტეტის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში აღრიცხული, 1846 წელს გამოცემული წიგნის დაკარგვის ფაქტი. საკითხის შესწავლით გამოვლინდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებითა და სამკითხველო დარბაზებით სარგებლობის წესების მოთხოვნათა დარღვევა და საჭიროება მოითხოვდა სათანადო ექსპერტის მოწვევას დაკარგული წიგნის ფასეულობის, მისი ღირებულებისა და ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის დადგენის მიზნით.

სამსახურმა შეისწავლა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლის კორესპოდენციებზე პასუხის გაუცემლობის საკითხი. საკითხის შესწავლით დადგინდა, რომ კორესპოდენციაზე პასუხები გაეცა 2 თვეზე მეტი პერიოდის დაგვიანებით. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ თსუ-ის „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ მოთხოვნათა დარღვევის გამო სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული გასატარებელი ღონისძიებისათვის მასალები გადასცემოდა დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალების შესაბამისად, სამსახურის მიერ მომზადდა ინფორმაცია, უნივერსიტეტის საწყობში აღრიცხული და უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნების მოძრაობებისა და ნაშთების თაობაზე შესაბამისი წლების მიხედვით არსებული დინამიკის ჩვენებით.

სამსახურმა განიხილა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ასისტენტის განცხადება, მის მიერ იურიდიული დეპარტამენტის სახელზე შეტანილი განცხადების პასუხის დაგვიანების თაობაზე. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იურიდიული დეპარტამენტის მიერ განცხადების პასუხი გაგზავნილი იყო უნივერსიტეტში მოქმედი საქმისწარმოების ერთიანი წესებით განსაზღვრულ ვადებში.

შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგის განყოფილების თანამშრომლები, გარდა დებულებით განსაზღვრული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში გამოცხადების ყოველდღიური მონიტორინგისა, 2016 წლის ოქტომბრის თვიდან 2017 წლის იანვრის თვემდე ახორციელებდნენ არასამუშაო საათებსა და დასვენების დღეებში (შაბათი დღე) თსუ-ის კორპუსების მიხედვით ლექცია-სემინარების ჩატარების მონიტორინგს.

სამსახური პერმანენტულად ახორციელებდა ადმინისტრაციული, დამხმარე და აკადემიური პერსონალის მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენას. რაზედაც თსუ-ის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან 2016 წლის განმავლობაში სამსახურს მიღებული აქვს 887 ერთეული წერილი სათანადო განმარტებებით.

სულ საანგარიშო წელს შიდა აუდიტის სამსახურს განსახილველად მიღებული აქვს 988 ერთეული კორესპონდენცია.

**დაცვა და უსაფრთხოების** სამსახურის მიერ, 2016 წელს გაწეულ იქნა მთელი რიგი სამუშაოები, კერძოდ: მოქმედ შრომის კანონმდებლობასთან სამუშაო პირობების შესაბამისობის მოყვანისა და შრომითი პირობების გაუმჯობესების მიზნით, პირადი



შემადგენლობა გადაყვანილ იქნა ცვლიანი სამუშაოს ახალ გრაფიკზე. ამჟამად დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები მორიგეობენ 4 დღეში ერთხელ 24 საათის განმავლობაში და მათი ანაზღაურება შეადგენს 400 ლარს. აღნიშნულმა პირობებმა შესაძლებლობა მოგვცა უკეთესი კადრები მოგვეზიდა დაცვის და უსაფრთხოების სამსახურში. დღესდღეობით უნივერსიტეტის დაცვის და უსაფრთხოების სამსახური დაცვის კერძო სამსახურებს შორის სამუშაო პირობებით ერთ-ერთი გამორჩეულია და დასაქმების ბაზარზე, საუკეთესო კადრების მოზიდვის თვალსაზრისით კონკურენტუნარიანია.

2016 წელს დაცვის სამსახურის პირად შემადგენლობას სისტემატიურად უტარდებოდა სწავლება-ტრენინგები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში მომუშავე კადრების მოდუნების, დისციპლინის დარღვევის და ზოგადად უსაფრთხოების სისტემის მოშლის თავიდან აცილების მიზნით პერმანენტული კონტროლი ხორციელდებოდა სამსახურის პირად შემადგენლობაზე. 2016 წელს სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრათ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის 30 თანამშრომელს.

2016 წელს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების ეფექტური მუშაობის შედეგად აღკვეთილი იქნა თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტები. კერძოდ 2016 წლის 12 მაისს ბაგების ხიდიდან გადახტომას ცდილობდა ახალგაზრდა გოგონა, ხოლო 2016 წლის 19 ივნისს ამავე ხიდზე სუიციდის მცდელობა ქონდა ახალგაზრდა მამაკაცს. აღნიშნულ ფაქტებზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 28 ივნისის №564/02-03 ბრძანებით სამსახურებრივი მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულების გამო გამოეცხადათ მადლობა დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროს სპეციალისტს რევაზ ბერიშვილს, აგრეთვე ინსპექტორებს გივი გოზალიშვილს და ნიკა მალიშავას.

სამსახურის ეფექტური მუშაობის და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შედეგად, 2016 წელს უნივერსიტეტის სასწავლო და სხვა კორპუსებში არ დაფიქსირებულა მატერიალური ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების არცერთი ფაქტი.

სამსახურის ეფექტური მუშაობის და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შედეგად, 2016 წელს არ დაფიქსირებულა უნივერსიტეტის კორპუსების და კორპუსებში განთავსებული მატერიალური ფასეულობების განზრახ დაზიანების, უნივერსიტეტის შენობების კედლებზე დახატვის და სხვა ვანდალური გამოვლინებების არცერთი ფაქტი.

2016 წელს უნივერსიტეტში მიმდინარე სტუდენტების საპროტესტო აქციების დროს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების ეფექტური მუშაობის შედეგად თავიდან იქნა აცილებული სტუდენტებს შორის ფიზიკური დაპირისპირება.

სამსახურის მიერ გატარებული ეფექტური პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად მინიმუმამდე იქნა დაყვანილი სტუდენტებს შორის ჩხუბის, ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები. ცალკეული გამონაკლისების შემთხვევებში დაცვის სამსახურის თანამშრომელთა დროული ჩარევის შედეგად განმუხტული იქნა კონფლიქტური ვითარება.

უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებს შორის მდებარე ეზოში დამონტაჟებული ვიდეო-კამერების და სამსახურის მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებების, კერძოდ მოძრავი პატრულის შექმნის შედეგად პირველ და მეორე კორპუსებს შორის მდებარე ეზოში 2016 წელს არ დაფიქსირებულა სტუდენტებს შორის ფიზიკური დაპირისპირების არცერთი შემთხვევა. წლების განმავლობაში სწორედაც პირველ და მეორე კორპუსებს შორის მდებარე ეზო მოიაზრებოდა სტუდენტებს შორის ჩხუბის, საქმეების გარჩევის, თუ უბედური შემთხვევების ძირითად ტერიტორიად.

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ეფექტურობის გაზრდის მიზნით 2016 წელს განახორციელა სასიგნალიზაციო მოწყობილობების და ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი სხვადასხვა ობიექტებზე. უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში განთავსებული მატერიალური ფასეულობებისა და ფუნქციური მნიშვნელობის მიხედვით ამ ეტაპზე სიგნალიზაციით დაცულია უნივერსიტეტის 52 ობიექტი, ხოლო სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვილია 19 ობიექტი.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში დამონტაჟებული ვიდეო კამერებიდან ამოღებული ჩანაწერების მეშვეობით გაიხსნა უნივერსიტეტს გარეთ მომხდარი რამდენიმე დანაშაულზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე (საქართველოს ბანკის დაყარაღების საქმე, მეექვსე კორპუსის წინ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის საქმე).

სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების და ეფექტური მუშაობის გამო დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს გამოეცხადა მაღლობა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან.

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემოსული ავტომანქანების კონტროლის მიზნით დაიბეჭდა 700 ცალი სამანქანო საშვი.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კორპუსის წიგნების საცავებში უცხო პირების მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით მოეწყო დაცვის საგუშაგო, ხოლო საგუშაგოზე სამუშაო პირობებისთვის შექმნის მიზნით დამონტაჟდა დაცვის სამეთვალყურეო კუთხე.

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე გაერთიანებული ძალისხმევით ხორციელდება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტების დაცვა:

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი კვლევითი ცენტრის დასაცავად გახანგრძლივდა ხელშეკრულება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან. ამასთან 2016 წელს გაფორმდა სამმხრივი ხელშეკრულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი კვლევითი ცენტრის დაცვის მომსახურეობის ყოველთვიური გადასახადი უნივერსიტეტისთვის თვეში ნაცვლად მანამდე არსებული 12 600 ლარისა შეადგენს 8434,44 ლარს.

უნივერსიტეტის ობიექტებზე დამონტაჟებული საგანგაშო დილაკების ფუნქციონირებისთვის გახანგრძლივდა ხელშეკრულება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან, ამასთან ოპტიმიზაციის მიზნით 2017 წლის 1-ლი იანვრიდან შემცირდა საგანგაშო დილაკებით დასაცავი თსუ ობიექტების რაოდენობა და ნაცვლად მანამდე

არსებული 24 ობიექტისა საგანგაშო ღილაკებით და დაცვის პერიმეტრული სიგნალიზაციით დაცვის პოლიციის მომსახურეობა ვრცელდება უნივერსიტეტის 9 ობიექტზე. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ საგანგაშო ღილაკებით დასაცავი თსუ ობიექტების რაოდენობის შემცირებამ წელიწადში 20700 ლარის ეკონომიის საშუალება მოგვცა.

ყოფილი მე-7 საავადმყოფოს დასაცავად გახანგრძლივდა ხელშეკრულება დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან.

სპეცკავშირის სისტემით საკომუნიკაციო მომსახურეობის მიზნით გახანგრძლივდა ხელშეკრულება სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთან.

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს ნაკისრი ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით ესაჭიროება შესაბამისი სიხშირის გამოყოფა, რაც დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელდა 2016 წელს. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ნებართვის მინიჭების შედეგად შესაძლებელია დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს შორის რადიოკავშირის უზრუნველყოფა, აგრეთვე დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში არსებული სასიგნალიზაციო პულტის გამართული ფუნქციონირება. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ნებართვა მოქმედებს 1 წლის ვადით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში უსაფრთხო უნივერსიტეტის იდეიდან გამომდინარე 2016 წელს აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა უნივერსიტეტსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შორის სამოქალაქო უსაფრთხოების მიზნით.

სასწავლო კორპუსებსა და შემოერთებულ კვლევით ინსტიტუტებში რეგულარულად ხორციელდებოდა სახანძრო ცეცხლმაქრებების მწყობრში ყოფნა, სახანძრო სიგნალიზაციის გამართულობა, სახანძრო წყალმომარაგების სისტემის კონტროლი.

2016 წელს შემოწმებული იქნა უნივერსიტეტის კორპუსებში ელექტრო გამათბობლების ექსპლოატაციის მდგომარეობა სახანძრო უსაფრთხოების კუთხით.

განსაკუთრებული ძალისხმევა ხორციელდება თამბაქოს მოწევის აკრძალვის საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა შიდა რეგულაციების არარსებობის გამო ჩვენი სამსახური შემოიფარგლება მხოლოდ თხოვნით და შეგონებით. 2017 წლიდან სასურველი იქნება თამბაქოს მოწევის აკრძალვის საკითხებთან დაკავშირებით უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება.

## IV. საქმიანობა კულტურისა და სპორტის სფეროში

კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ, განხორციელდა მთელი რიგი სამუშაოები. კერძოდ: „იარე ჩვენთან ერთად“ – ამ სახელით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა (სანდრო ყუფარაშვილმა) [William Hemberton] ახალი ვიდეო რგოლი გადაიღო. აღნიშნული ვიდეო რგოლი ქართული ინტერნეტ სივრცის ერთ-ერთ მოწინავე ვებ გვერდზე [www.marketer.ge](http://www.marketer.ge) მოხვდა.

უნივერსიტეტის ბენდი “TSU – ART” მიწვეული იყო ტელეკომპანია GDS-ის გადაცემაში „შუადღე“, სადაც ისაუბრეს ალბომისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

Music collaboration project წარმოადგენს მუსიკალურ პროექტს, სადაც ხდება ორი მუსიკალური ჟანრის - ელექტრონული/ინდი და სიმფონიური ჟანრის სინთეზი. პროექტის მიზანია თანამედროვე მუსიკალური ტენდენციების საზოგადოებამდე მიტანა და ამ მიმართულებით სხვადასხვა აქტივობების განხორციელება თანამედროვე მუსიკის განვითარებისთვის.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა: უნივერსიტეტის სტუდენტური თეატრის მიერ ვ.კრასნოგოროვის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა - „მოდით, დაგვახედეთ...“ რომელმაც მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა; მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ჩემპიონატის ნახევარფინალური თამაში; თსუ-ის ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტის“ საიუბილეო კონცერტი, ანსამბლის არსებობის 20 წლის აღსანიშნავად; მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ჩემპიონატის ნახევარფინალური თამაში.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ღონისძიებაზე - „სტუდენტური დღეები 2016“, თსუ თითქმის ყველა შემოქმედებით კატეგორიაში იყო წარმოდგენილი. გამარჯვება მოვიპოვეთ ნომინაციებში - „თანამედროვე ცეკვა“ და „ორიგინალური ნომერი“;

TSU – ART-ის წამოწყებული პროექტი „Music Collaboration Project“ საქართველოს საზღვრებს გასცდა და სომხეთში, ქალაქ ერევანში ჩააღწია. საკონცერტო პროექტმა მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

უნივერსიტეტში ჩატარდა საგუნდო მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ გუნდები უნივერსიტეტიდან, კონსერვატორიიდან და მოწვეული სტუმრები ვილნიუსიდან - გოგონათა გუნდი “Virgo”.

ძველი იპოდრომის პავილიონში ჩატარდა მუსიკალური ფესტივალი სახელოწოდებით “Ornament Fest”, რომელშიც სხვა ცნობილ მუსიკოსებთან და დიჯეებთან ერთად მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის ბენდმა - TSU-ART.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალი საზოგადოება“, წამოიწყო „ჯანსაღი გულშემატკივრობის“ კამპანია, რომელშიც აქტიურად ჩაერთო დეპარტამენტი და ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“.

ანსამბლის მოცეკვავეების მონაწილეობით გადაიღეს ვიდეორგოლი, რომელიც სოციალურ ქსელში დატრიალდა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

სპორტის განყოფილების საქმიანობის მიღწევები:

ფუტსალი - ფუტსალის სტუდენტური ლიგა I ადგილი. ფუტსალის სტუდენტური ლიგის თასის გათამაშება I ადგილი. ქვიშის ფეხბურთი II ადგილი. ევრო უნივერსიადაზე მონაწილეობას იღებდა ევროპის საუკეთესო 24 გუნდი, სტუდენტური ფუტსალის გუნდი ჯგუფიდან გავიდა და მე - 9 ადგილი დაიკავა. საქართველოს ფუტსალის ეროვნული ჩემპიონატი I ადგილი. (პირველად გაიმარჯვა) ევროპის ჩემპიონთა ლიგაზე ფუტსალის გუნდმა მიიღო მონაწილეობა, პირველი ჯგუფური ეტაპიდან გავიდა და ევროპის საუკეთესო 32 გუნდში მოხვდა;

ფრენბურთი-სტუდენტური ოლიმპიადა 2016 ვაჟები III ადგილი.სტუდენტური დღეები, ქვიშის ფრენბურთი გოგონები II ადგილი; სტუდენტური დღეები ქვიშის ფრენბურთი ვაჟები II ადგილი; საქართველოს გოგონათა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიაგა II ადგილი და მოიპოვეს მონაწილეობის უფლება 2016-2017 წლების საქართველოს გოგონათა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

კალათბურთი - საქართველოს სტუდენტური ლიგა 2015-2016 I ადგილი. სტუდენტური დღეები 2016 I I ადგილი. ლიგის ჩემპიონატი IV ადგილი.

ათლეტიზმი - მსოფლიო თასი Powerlifting -ში გუნდური I ადგილი ( 9 ოქრო). უნივერსიადა 3 ოქრო, 1 ბრინჯაო, 3 ვერცხლი.

